# ლელო

№181
(12 251)

3 აგვისტო პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი


ყაზბეგის პირველი ბიბლიოთეკა

# დინამოს ევროფეირთი



3
გუშინ, ვადუცში. დინამოელი სანდრო კობახიძე (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

## 0:0

პირველი მატჩი 0:2

ევროთასების პირველმა საკვალიფიკაციო ეტაპმა ოთხიდან 3 ქართული კლუბი შეიწირა. "ზესტაფონისა" და "ოლიმპის" შემდეგ, გუშინ ასპარეზს "ამერიც" ჩამოაშორა და მხოლოდ "დინამო" დაუტოვა. არადა, დიდი იყო შანსი, რომ "ვადუცის" გამომგდებ "დინამოსთან" ერთად, დღეს ნიონში "ამერის" მეტოქეც გარკვეულიყო. ასე კი, ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ერთხელაც მოუწევს ჭაპანის გაწევა...

| სხვა მატჩები | |
|---|---|
| ალმა ათა (ყაზახეთი)-**მორავცე (სლოვაკეთი)** | 1:1 (1:3) |
| **მიკა (სომხეთი)**-მტკ (უნგრეთი) | 1:0 (1:2) |
| ტეუტა (ალბანეთი)-**სლავენი (ხორვატია)** | 2:2 (2:6) |
| **ეკრანასი (ლიტვა)**-ტორსჰავნი (ფარერები) | 3:2 (3:1) |
| **სუდუვა (ლიტვა)**-დუნგანონი (ჩრ. ირლანდია) | 4:0 (0:1) |
| ტრანსი (ესტონეთი)-**ჰელსინგბორგი (შვედეთი)** | 0:3 (0:6) |
| **დინამო (მინსკი, ბელარუსი)**-სკონტო (ლატვია) | 2:0 (1:1) |
| ნეფთჩი (აზერბაიჯანი)-**რიდი (ავსტრია)** | 2:1 (1:3) |
| **ჰაკა (ფინეთი)**-რილი (უელსი) | 2:0 (1:3) |
| ჰიბერნიანსი (მალტა)-**ვოივოდინა (სერბეთი)** | 0:2 (1:5) |
| ზიმბრუ (მოლდოვა)-**არტმედია (სლოვაკეთი)** | 2:2 (1:1) |
| **დინამო (ბრესტი, ბელარუსი)**-მეტალურგსი (ლატვია) | 2:1 (1:1) |
| ეტცელა (ლუქსემბურგი)-**ჰიკ (ფინეთი)** | 0:1 (0:2) |
| **მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი)**-სანტა კოლომა (ანდორა) | 4:0 (0:1) |
| **ანორთოსისი (კვიპროსი)**-ვარდარი (მაკედონია) | 1:0 (1:0) |
| **ბრანი (ნორვეგია)**-კარმარტენი (უელსი) | 6:3 (8:0) |
| **მიდტიულანდი (დანია)**-კეფლავიკი (ისლანდია) | 2:1 (2:3) |
| **ოდენსე (დანია)**-სტ. პატსი (ირლანდია) | 5:0 (0:0) |
| **ვოლერენგა (ნორვეგია)**-ფლორა (ესტონეთი) | 1:0 (1:0) |
| **ლიტექსი (ბულგარეთი)**-სლიემა (მალტა) | 4:0 (3:0) |
| **მატერსბურგი (ავსტრია)**-აკტობე (ყაზახეთი) | 4:2 (0:1) |
| **იანგ ბოიზი (შვეიცარია)**-ბანანცი (სომხეთი) | 4:0 (1:1) |
| **აიკ (შვედეთი)**-გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) | 4:1 (5:0) |
| სტეიმური (ფარერები)-**მიუპა (ფინეთი)** | 1:1 (0:1) |
| კოპერი (სლოვენია)-**შიროკი ბრიეგი (ბოსნია)** | 2:3 (1:3) |
| **რაბოტნიჩკი (მაკედონია)**-გორიცა (სლოვენია) | 2:1 (2:1) |
| **ჰაიდუკი (ხორვატია)**-ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) | 1:0 (1:1) |
| **ბესა (ალბანეთი)**-ბეჟანია (სერბეთი) | 0:0 (2:2) |
| **ჰონვედი (უნგრეთი)**-ნისტრუ (მოლდოვა) | 1:1 პენ 5:4 (1:1) |
| **პარტიზანი (სერბეთი)**-ზრინსკი (ბოსნია) | 5:0 (6:1) |
| რუდარი (ჩერნოგორია)-**ომონია (კვიპროსი)** | 0:2 (0:2) |
| **დროგედა (ირლანდია)**-ლიბერტასი (სან მარინო) | 3:0 (1:1) |
| **გროცლინი (პოლონეთი)**-არაზი (აზერბაიჯანი) | 1:0 (0:0) |
| რეიკიავიკი (ისლანდია)-**ჰაკენი (შვედეთი)** | 0:1 (1:1) |

# თავები მაღლა ანიეთ!


ნუგზარ სულხანიძის ფოტო

## 2:0

პირველი მატჩი 0:2
პენალტებით 2:4

# ამერი ევროპაში იზრდება

2

UEFA CUP

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ამერი-ბელხატოვი**

**2:0**

**პენალტებით 2:4**
02.08. თბილისი. მ. მესხი
1000 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:2**

1:0 ტატანაშვილი (42), 2:0 დავითაშვილი (46)

ამერი: ქვაჩახია-დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე- ჯელაძე (70. დოლიძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, , ბოლქვაძე (102. კობაური)-დავითაშვილი (76. გოცირიძე), ტატანაშვილი.

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, ჩიკვილაძე, ცხადაძე.*

ბელხატოვი: ლეხი, გროძიცკი (105. მარჩინიაკი), კეკოტი, სტოლარჩუკი, პოპეკი, ვრობელი, სტრაკი, იარჟებოვსკი, რახვალი, უჟეკი (100. ტოშიკი), კოსტლი (46. ნოვაკი).

*სათადარიგოები: საპელა, მაგდონი, ზავოჟინსკი.*

გაფრთხილება: ჯელაძე (32), უჟეკი (42), პოპეკი (51), გროძიცკი (76), რახვალი (108)

არბიტრი: ი. კისტერი (ყაზახეთი)



სულიკო დავითაშვილმა ანგარიში ორამდე გაზარდა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# თამაშმა ივარგა, შედეგმა ვერა

ჩემს სუბიექტურ აზრს გეტყვით - დღესდღეობით საქართველოში "ამერი" ყველაზე პროგრესული გუნდია. წმინდა საფეხბურთო კომპონენტს არ ვგულისხმობ, მთლიანობაში - სტრუქტურით, საქმისადმი მიდგომით, ორგანიზაციით, ურთიერთობით და ბოლოს ფეხბურთით. ევროტურნირებზე ქართულ კლუბებიდან ყველაზე ძლიერი მეტოქე სწორედ "ამერს" ერგო, პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი და ყველაზე კარგად ამ ეტაპზე მან წარმოაჩინა თავი, თუმცა კი მეორე წრეში გასვლა ვერ მოახერხა.

არც ისეა საქმე, დასაწუნი არაფერი ჰქონდეს გუნდს, მაგალითად, ერთ-ორი მოთამაშის ტრანსფერის საჭიროება დღემდე ვერ ამიხსნია, თუმცა მთავარია კლუბის ხელმძღვანელობას ესმოდეს. დასაწუნი იყო საამმატჩოდ მიღებული უსაფრთხოების ნორმები - პოლონელი გულშემატკივრებისთვის ჯობდა ცალკე სექტორი გამოყოფილიყო და ყველანაირ გართულებას ავირიდებდით.

წინათგრძნობას დააბრალეთ, გინდ სხვა რამეს, მაგრამ თამაშზე მიმავალს "ამერის" მოგებისა მჯეროდა. არანაირი ავანტიურა, არანაირი უკანმოუხედავი შეტევა სწრაფი გოლის გასატანად, "ამერმა" მიზანმიმართულად, თანდათანობით დაიწყო უპირატესობის მოპოვება. პირველი თამაშის მერე ჩემი კოლეგა მეუბნებოდა, "ბელხატოვმა" თამაშიდან "ამერს" ერთი მომენტიც ვერ შეუქმნაო. ძნელი დასაჯერებელი იყო. რაც არ უნდა იყოს, ქართულ კლუბს საქმე პოლონეთის ვიცე-ჩემპიონთან ჰქონდა, ჩვენი ქვეყნების ჩემპიონატების დონიდან გამომდინარე კი, "ამერი" უშანსოდ უნდა დამარცხებულიყო.

ასე მგონია, პოლონელებმა გუშინ პირველ მატჩში მოპოვებული ფორის შენარჩუნებაზე ითამაშეს, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს და ვითარება მოედანზე მათთვის უმართავი გახდა.

მასპინძლებისთვის უმთავრესი მოედნის ცენტრის დაკავება და ბურთზე კონტროლის მოპოვება იყო, რადგან სწრაფი და ათლეტური გარემარბების წყალობით, პოლონელებს ჩვენთვის მრავალი პრობლემის შექმნა შეეძლოთ. გეგმა წარმატებით განხორციელდა და პოლონელების სისუსტეებიც აქ გამოჩნდა. **დობროვოლსკის, ბოლქვაძისა** და **დეკანოსიძის** კარგმა თამაშმა ნახევარდაცვაში უპირატესობა მოგვაპოვებინა. მარჯვენიდან **გიზო ჯელაძე** ცდილობდა შეტევების დაწყებას თუ გაგრძელებას. მართალია ხანდახან ცუდად, მაგრამ საერთო ჯამში მაინც დამაკმაყოფილებლად ითამაშა. გაცილებით მეტს ველოდით მის შემცვლელ **გრიგოლ დოლიძისგან**. აი, გამოკვეთილი მარცხენა ნახევარმცველი კი არ იყო, ამ ფუნქციას გუშინ ჩინებულად მოთამაშე **სულიკო დავითაშვილი** ითავსებდა. ეპიზოდებში კი სხვა მოთამაშე გადადიოდა ამ ფლანგზე. გამოკვეთილი ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** იყო, რომელიც მწვრთნელმა **რევაზ გოცირიძის** ნაცვლად დააყენა ძირითადში და არც შემცდარა.

"ამერის" შეტევებმა მეტოქის კართან ხიფათის მოტანა მე-20 წუთიდან დაიწყო, ამ ეპიზოდში ბოლქვაძეს არ გამოუვიდა ბოლო პასი ზუსტი. ორ წუთში კი ჯერ ტატანაშვილს, მერე კი დეკანოსიძეს მართებდათ გატანა - ბოლქვაძემ მეკარესთან პირისპირ დატოვა ტატანაშვილი, მაგრამ ფორვარდმა ზედმეტი მოძრაობა გააკეთა და **ლეხს** ბურთი მოაგერიებინა, რომელიც უკვე დეკანოსიძეს მიუვიდა, მაგრამ ვერც მან მოახერხა კარში დარტყმა. აქედან დაწყებული, სახიფათო მომენტებმა პოლონელთა კართან იმატა - ჯერ იყო და დავითაშვილი უკეთებდა გამჭოლ გადაცემას დეკანოსიძეს მარცხნიდან, მაგრამ აქაც მეკარემ იმარჯვა ბოლო მომენტში და ჩაჭრა პასი, მერე დეკანოსიძე ურტყამდა სახიფათოდ, მაგრამ მცირედით აცილა. იქვე ძალიან სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს პოლონელებმა და უკვე **ქვაჩახიას** მოუწია თანაგუნდელების გადარჩენა. ტაიმის მიწურულს კი პირველი გოლიც ვიხილეთ, დავითაშვილმა მარცხენა ფრთიდან უზუსტესი პასი გაუკეთა ტატანაშვილს და ფორვარდმა მძლავრი თავურით უშანსოდ დატოვა ლეხი - 1:0.

ტატანაშვილს ეტყობა, რომ კარგ ფორმაშია, ყოველ შემთხვევაში გუშინ ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე - კარში დარტყმასაც ახერხებდა, ცენტრისკენ ჩამოსვლას და პასების განაწილებასაც, არც ერთი-ერთზე ბრძოლას აგებდა მეტოქესთან. მშვენიერი იყო ბოლქვაძე-დეკანოსიძის დუეტი. ყველაფრის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, მასპინძლები ზედმეტად ათრევდნენ ბურთს, არადა დროული პასები რომ გაეკეთებინათ, რამდენიმე შეტევა მეტოქეს დიდ ხიფათს მოუტანდა.

შეხვედრის განახლება და მეორე გოლი ერთი იყო - დავითაშვილმა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე დეკანოსიძე, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა და დავითაშვილს მიუგორდა - 2:0.

ამის მერე "ამერის" შეტევებს ცოტა მოაკლდა სიმწვავე, მაგრამ შეხვედრის ბოლომდე მასპინძლებმა ორი-სამი სახიფათო იერიშის განხორციელება მაინც შეძლეს. გამოცოცხლდნენ პოლონელებიც, რომ მიხვდნენ ცენტრში ბურთს ვერ იჭერდნენ, გრძელი გადაცემებით სცადეს ფონს გასვლა. ამან ერთი პერიოდი გარკვეული პრობლემები შეუქმნა ამერელებს, განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებს, მაგრამ საბოლოოდ ამასაც მოევლო. შესაძლოა დაღლილობის ბრალი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, "ამერმა" უფრო შეგნებულად დათმო ტერიტორია და საქმის მოსათავებლად მეტოქის შეცდომას დაუწყო ლოდინი.

65-ე წუთზე მცველმა არ დაანება დოლიძე მესამე გოლის გატანა იმავე დავითაშვილის ფლანგური გადაცემის შემდეგ. მერე იყო დეკანოსიძის კარგი პასი დოლიძეზე, მაგრამ ნახევარმცველმა ვერ ივარგა.

დამატებით დროში მასპინძლებმა სამი მომენტი შექმნეს მეტოქის კართან - ბოლქვაძემ გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე ტატანაშვილი, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა, აი ტატანაშვილის კარგი გადაცემები კი ვერც გოცირიძემ გამოიყენა და ვერც დოლიძემ.

ბოლოს კი იყო ტატანაშვილის და **ხვადაგიანის** გატანილი და დავითნიძისა და გოცირიძის გაფუჭებული პენალტები, რამაც "ამერს" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დააძლევინა, სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს უზომოდ დასწყვიტა გული, მაგრამ ტაში მაინც დააკვრევინა.

## პრესკონფერენცია

**ორესტ ლენჩიკი:** *"ნერვული თამაში იყო. ჩემებს მოგება უნდოდათ, მაგრამ არ იცოდნენ, ეს როგორ გაეკეთებინათ. მოედნის ცენტრში "ამერმა" გვაჯობა, არ ვიცი კარგი ფეხბურთელების, თუ უბრალოდ კარგი თამაშის გამო. მთავარია, რომ თავში და ბოლოში კარგად ვითამაშეთ და გავედით, ანუ პირველი მატჩი მოვიგეთ და პენალტები კარგად ვურტყით. დღეს ორი თანაბარი გუნდი იყო მოედანზე და, როგორც კრივში ხდება ხოლმე, როცა მეტოქეები ქულებით ვერ ჯაბნიან ერთმანეთს და გამარჯვებულს მსაჯი ასახელებს, დაახლოებით ასე მოხდა დღეს, გამარჯვებული პენალტებმა გამოავლინა.*

*ბევრი ვიშრომეთ, რომ ფიზიკურად კარგად ვყოფილიყავით მომზადებული. მიუხედავად ამისა, მოედნის ცენტრი მაინც დავთმეთ და რაც მნიშვნელოვანია, ჩემი ბიჭები ხანდახან სისწრაფეშიც აგებდნენ, თითქოს ქართველებს ზურგის ქარი ეხმარებოდათ.*

*მეორე გოლის შემდეგ ცოტა გავაქტიურდით, მაგრამ საერთო ჯამში ჩემი გუნდისგან მეტს მოველოდი. ჩვენი პრობლემა გასახდელშია და ამაზე ბიჭებს დაველაპარაკები".*

**გიორგი ჩიხრაძე:** *"მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ბიჭებს, დღეს კარგად იშრომეს. აქცენტი მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვებაზე გავაკეთეთ. გვინდოდა, ბურთი გვეკონტროლებინა და მოკლე თუ საშუალო გადაცემებით გვეთამაშა, მეტოქისთვის თამაშის ფლანგებზე გაშლის საშუალება არ მიგვეცა. დასანანია, რომ მოგების მიუხედავად ბარიერი ვერ გადავლახეთ, მდგომარეობა პირველ მატჩში გავირთულეთ, როცა 0:2 დავმარცხდით".*

**პაატა თოთაძე**

## კომენტარები

**გიზო ჯელაძე:** *- ძალიან გვინდოდა მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით. რაც შეგვეძლო გავაკეთეთ. ყველამ ნახეთ, ცდა არ დაგვიკლია. საერთო ჯამში, მეტოქეს ვაჯობეთ კიდეც. შეგვეძლო პენალტებამდე არ მიგვეყვანა საქმე, მაგრამ...*

**დიმიტრი ტატანაშვილი:** *- მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდმა კარგი თამაში აჩვენა და უშუალოდ მატჩის მსვლელობით, გულშემატკივარი, ვფიქრობ, კმაყოფილი დარჩა. პენალტები მნიშვნელოვანწილად ფორტუნაა და, სამწუხაროდ, დავმარცხდით. ძალიან დამწყდა გული... მადლობა ქომაგებს ასეთი მხარდაჭერისთვის.*

**დავით ბოლქვაძე:** *- მეტოქე აშკარად დავჯაბნეთ. თამაში ჩვენ მიგვყავდა, ორი გოლი გავიტანეთ და კიდევ უნდა გაგვეტანა, მაგრამ მეტი ველარ შევძელით. დოლიძეზეც იყო დასანიშნი პენალტი, მაგრამ...*

**დავით ცაბაძე**



საბედისწერო პენალტი

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

UEFA CUP

# დინამო ევროპაში დარჩა



ლევან ხმალაძე (მარჯვენა)

**ვადუცი-დინამო**

**0:0**

**02.08. ვადუცი. რაინპარკშტადიონი**
**755 მაყურებელი**

**პირველი მატჩი 0:2**

ვადუცი: სომერი, აკდემირი (57. პოლვერინო), გასპარი (70. რორერი), გროსკლაუსი, რაინმანი, მაგეტი, ვიჩორეკი, რიცბერგერი, ჩერონე, შტურმი, სუტერი.

დინამო: ოვონო, შ.კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, დილმელაშვილი (89. ხუციშვილი), ხმალაძე, კობახიძე, ფეიქრიშვილი (75. ოდიკაძე), მერებაშვილი, აკირემი (90. სპასოევიჩი).

გაფრთხილება: დილმელაშვილი (89)

არბიტრი: ანტე ვუცემილოვიჩ-სიმუნოვიჩი (ხორვატია)

- "ვადუცთან" მატჩამდე გავიგეთ, რომ "ამერმა" მატჩის ძირითად დროში 2:0 მოუგო "ბელხატოვს" და დამატებითი დრო დაინიშნა. ამ ინფორმაციის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები დადებითად დამუხტულები გავიდნენ მოედანზე... ბოლოს გავიგეთ, რომ "ამერი" პენალტების სერიაში დამარცხებულა და, რალა თქმა უნდა, გული დაგვწყდა – გუშინ, ლიხტენშტაინში დაკავშირებისას პირველი ეს გვითხრეს "დინამოს" ბანაკიდან.

რაც შეეხება თამაშის მსვლელობას, ამაზე "დინამოს" პრესსამსახური მოგვითხრობს... ზემოთ ვახსენეთ, რომ "დინამო" დადებითად დამუხტული გავიდა სათამაშოდ, მათ უკვე მე-11 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა - **შოთა კაშიამ** და **ფეიქრიშვილმა** კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ **მერებაშვილის** დარტყმული მასპინძელთა მეკარე **სომერმა** აკრობატულ ნახტომში მოიგერია. "ვადუციც" არ დაგვრჩა ვალში, მასპინძლებმა ნელ-ნელა თამაშს უმატეს. მე-20 წუთზე **ოვონო** დაშავდა, მაგრამ ჩვენს კართან შექმნილი ხიფათის განმუხტვა მაინც შეძლო. ამას **ხმალაძის** ძლიერი, მაგრამ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა. მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და 31-ე წუთზე **გასპარი** კარგ პოზიციაზე გაიყვანეს, მაგრამ მას კრშკომ აჯობა... ასე გაგრძელდა შემდეგშიც, ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა.

"ვადუცმა" საშინაო მატჩში უკეთ ითამაშა. მთლიანობაში მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მართალია, "ვადუცმა" უფრო მეტჯერ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით, მაგრამ ამ დარტყმებს სიზუსტე აკლდა. საერთო ჯამში კი, "დინამომ" მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა.

45-ე წუთზე დინამოელებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა - მერებაშვილმა მეურვე ჩამოიცილა, ფეიქრიშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა ოდნავ გადასცდა კარს.

თბილისელებმა მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყეს. არც ვადუცელები იყვნენ უქმად. 51-ე წუთზე **შტურმის** ძლიერი დარტყმა ოვონომ მოიგერია. **ჰაინც ჰერმანი** მიხვდა, რომ შემტევი პოტენციალის გაძლიერება იყო საჭირო და მცველის ნაცვლად, შემტევი ნახევარმცველი **პოლვერინო** შეუშვა მინდორზე. თუმცა დინამოელები დაცვაშიც საიმედოდ თამაშობდნენ. 62-ე წუთზე მერებაშვილმა **აკირემი** მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ გაბონელს ამ უკანასკნელმა აჯობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. მერე ისევ "ვადუცი" გააქტიურდა, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი შექმნა. ტაიმის ბოლო 7 წუთი კი ისევ "დინამოს" კარნახით წარიმართა. 85-ე წუთზე **ოდიკაძის** მიერ ოსტატურად შესრულებული ჯარიმა მეკარემ "ცხრიანიდან" მოხსნა. ოთხიოდე წუთში სომერი მერებაშვილის დარტყმულს გადაეფარა, მისი მოგერიებული კი უკვე ძელმა აისხლიტა...

*"მატჩი რთული გამოდგა და ამას ველოდით კიდეც. "ვადუცმა" შინ უკეთ ითამაშა. მასპინძლებმა ჩვენზე მეტჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით, მაგრამ რეალური საგოლე ეპიზოდი "დინამომ" უფრო მეტი შექმნა. სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მთავარი ამოცანა შევასრულეთ - "დინამომ" მომდევნო ეტაპზე გასვლა მოახერხა. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა "ვადუცთან" ჩატარებული მატჩებით გამოცდილება გაიმდიდრეს. ეს კი მომავალში გამოგვადგება"*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ "ლელოსთან" საუბარში დუშან უჰრინმა.

დღეს, ნიონში უეფას თასის მეორე ეტაპის წილისყრა გაიმართება. პროცედურას "დინამოდან" გუნდის უფროსი **გია იმნაძე** დაესწრება. თბილისელები სამშობლოში დღეს გამოემგზავრებიან.

**დავით ცაბაძე**

# ვინ გადაარჩენს ტორპედოს?

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ფინანსური გარანტიების წარსადგენად ქუთაისის „ტორპედოს" 3 აგვისტომდე მისცა ვადა. ქუთათურები იმედოვნებდნენ, რომ ბოლო მომენტში მაინც გამოჩნდებოდა გუნდის ბედით დაინტერესებული ადამიანი და „ტორპედოს" დახმარების ხელს გაუწვდენდა. ვადა დღეს იწურება, რიონისპირელებს კი სპონსორი კვლავ არ ჰყავთ ნაპოვნი. ჩვენ გუნდის უფროს **პაპუნა მელაძეს** დავუკავშირდით, სამწუხაროდ, მისგან დამაიმედებელი ინფორმაცია ვერ მოვისმინეთ: *„ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა, გუნდს ფინანსები არ გააჩნია და თუ ხვალამდე ქალაქის ხელმძღვანელობა ან ბიზნესმენები ფინანსურად არ დაგვეხმარებიან, „ტორპედო" ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. პირველ ლიგაში დაქვეითებას რა აზრი აქვს, ფული თუ არ იქნა, იქაც ვერ ვითამაშებთ. რთული ვითარებაა, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს. შესაძლოა, ბოლო მომენტში ფული გამოგვიყონ და „ტორპედომ" ამ სირცხვილს თავი დააღწიოს. ხვალამდე მოვიცადოთ, იმედია, „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლეგიონერი

# სპარტაკმა ამისულაშვილი დინამოსგან გამოისყიდა

**ალეკო ამისულაშვილმაც** ამოისუნთქა და ნალჩიკის "სპარტაკის" ხელმძღვანელობამაც. ხუმრობა ხომ არაა, ერთთვიანი მძიმე და დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, ყაბარდოელებმა უკრაინული კლუბი ქართველი ლეგიონერის გაყიდვაზე დაითანხმეს. ერთი სიტყვით, ალეკო ამისულაშვილი კიევის "დინამოს" წევრი აღარ არის, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდა. მან კონტრაქტი 2+1 სისტემით გააფორმა.

თავდაპირველად, "სპარტაკი" მოთამაშის იჯარაზეც იყო თანახმა და ამისთვის საქმეში ავტონომიის პრეზიდენტი **არსენ კოკოევი** ჩართო, რადგან კიეველები პირობებს ყოველ დღე ცვლიდნენ და იჯარის გაგრძელებაზე უარს ამბობდნენ.

გუშინწინ ნალჩიკელთა გენერალურმა დირექტორმა **ალექსანდრ ბალოვმა** სააგენტო "ჩემპიონატს" განუცხადა, რომ კიეველებს საიჯარო კონტრაქტის ყველა დეტალზე შეუთანხმდნენ და ამისულაშვილს უკარინელები "სპარტაკში" სეზონის ბოლომდე ტოვებენ. სააგენტოს მონაცემით, ნალჩიკში ფეხბურთელის მენეჯერს, **ალექსანდრ ფომინს** ელოდნენ. ბალოვის თქმით, ქართველ ლეგიონერთან პირადი კონტრაქტის დეტალებიც შეთანხმებული იყო.

თუმცა 1 აგვისტოს ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ისევ "სპარტაკისა" და ქართველი ფეხბურთელის სასარგებლოდ. როგორც ჩანს, კიეველები მიხვდნენ, რომ ფეხბურთელის ბევრჯერ განათხოვრება აღარ მოხერხდებოდა, რადგან ალეკოს კიეველებთან კონტრაქტი 2008 წლის მაისში უმთავრდებოდა. ნალჩიკელებმა "დინამოს" ქართველი ლეგიონერის 500 000 დოლარად გამოსყიდვა შესთავაზეს. საბოლოოდ, კიევის "დინამომ" უფრო მეტი მოითხოვა, რაზეც ყაბარდოელები დათანხმდნენ და შეიძლება ითქვას, რომ ეს რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე ღარიბი კლუბის რეკორდული ტრანსფერია.

**მერაბ მამულაშვილი**

# აშვეთია ამკარში ვარჯიშობს

**მიხეილ აშვეთიამ** მახაჭყალის "ანჟი" რომ დატოვა და დაინტერესებულ კლუბებთან მოსალაპარაკებლად მოსკოვს მიაშურა, გეცოდინებათ. ქართველისადმი ინტერესს რამდენიმე რუსული კლუბი იჩენდა. მათ შორის შედარებით გამოკვეთილი "მოსკვა" და "სატურნი" იყვნენ. გუშინ კი ფეხბურთელის შესახებ კიდევ ერთი ახალი ცნობა გავრცელდა - ის პერმის "ამკარში" ვარჯიშობს. ინფორმაცია გუშინ რუსულმა წყაროებმაც გაავრცელეს, მაგრამ "ამკარის" ოფიციალური ვებგვერდზე აშვეთიას გვარი ჯერჯერობით არ გაჟღერებულა.

ჩვენი ინფორმაციით, ქართველის საკითხი მომავალი კვირის დასაწყისში გადაწყდება. მასთან დაახლოებულმა წყარომ გვამცნო, რომ "ამკართან" მინიმუმ წლინახევრიან კონტრაქტზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. რუსული წყაროების ცნობით, "ამკარის" მთავარ მწვრთნელ **რაშიდ რახიმოვს** მოსწონს ქართველი ფორვარდი. ასე რომ, თუ მხარეები ფინანსურ საკითხებზე მორიგდნენ, კონტრაქტის გაფორმებას, წესით, ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს.

რაც შეეხება "ამკარს", 18 ტურის შემდეგ პერმელთა გუნდს 21 ქულა აქვს და მე-12 ადგილზეა. ხვალ, 4 აგვისტოს, "ამკარი" **ლევან გვაზავასა და ალექსანდრე ჩიხრაძის** "ლუჩ-ენერგიას" უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

# გოგუა ძირითად გუნდთან

**გოგიტა გოგუას** ჯანმრთელი და ყველა მოთამაშისთვის სანატრელი ორგანიზმი რომ აქვს, ყველამ იცის. აი კიდევ ერთი მაგალითი, რამენსკოეს "სატურნის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ქართველი ლეგიონერი უკვე გუნდის ძირითად ჯგუფში ვარჯიშობს. *"მართალია, ოდნავ შემცირებულად ტვირთავს მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი, მაგრამ სათამაშო ეპიზოდებში მონაწილეობს და უკვე ნელ-ნელა ფორმის აღდგენასაც ახერხებს."*

ეს მართლაც საოცარი ფაქტია, რადგან საქართველოს ნაკრებისა და რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველმა მენისკის ოპერაცია ოცი დღის წინათ გაიკეთა. ასე მოკლე ხანში კი ძირითად ჯგუფს ფეხბურთელი დაბრუნებოდეს, არ გვახსენდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## თირილი



**ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე.** 03.08.1922, სოხუმი - 20.11.1980, თბილისი. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა სოხუმის "პიშჩევიკში" (1939), სოხუმის "დინამოსა" (1940-41) და თბილისის "დინამოში (1943-61). სსრკ ნაკრებში ითამაშა 3 მატჩი (1 გოლი), სსრკ უმაღლეს ლიგაში - 341 (127 გოლი). თბილისის "დინამოს" რეკორდსმენი სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩატარებული მატჩებისა და გოლების მიხედვით. სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1951, 53) და ოთხგზის მესამე (1946, 47, 50, 59) პრიზიორი. სსრკ თასის გათამაშების ორგზის ფინალისტი (1946, 60). სსრკ ჩემპიონატების ორგზის საუკეთესო ბომბარდირი (1951, 54). გრიგორი ფედოტოვის სახელობის "ასიანთა კლუბის" წევრი (143 გოლი). იყო თბილისის "დინამოსა (1961-62) და "ლოკომოტივის" (1966-67) მთავარი მწვრთნელი, თბილისის "დინამოს" (1962-65) გუნდის უფროსი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ).

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



2003-04 წლებში იყო ძალიან საინტერესო და სიმპათიური გუნდი, რომელსაც გიორგი დევდარიანი წვრთნიდა. ფინანსურად წელგამართული კლუბი და ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას, იდეალისტი მწვრთნელი. ასეთმა სინთეზმა კარგი გუნდი და კარგი ფეხბურთელები წარმოაჩინა, მაგრამ დევდარიანის "თბილისის" ამბავი მალევე დასრულდა - გუნდი დაიშალა და "თბილისიდან" დევდარიანიც წავიდა...
ეს მწვრთნელი ახლა ბავშვთა ფეხბურთში, სკოლა "საბურთალოში" საქმიანობს და მას მეტწილად ამ სფეროზე ვესაუბრეთ.

ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

# ბიზნესმენს მაგალითი ფეხბურთელმა უნდა მისცეს

**- რატომ წახვედით ბავშვთა ფეხბურთში? უმაღლესი თუ პირველი ლიგის გუნდებში არ გერჩივნათ მუშაობა?**

- იყო 2-3 შემოთავაზება, მაგრამ უარი ვთქვი. თუ კლუბში არ არის ის პირობები, რომლითაც საქმე უნდა გაკეთდეს, იქ არ წავალ. როცა გუნდს ჩემპიონობა სურს, მაგრამ არ აქვს შეკრებისა და აღდგენითი პროცესის ფული, იქ მუშაობა არ ღირს.

**- არც ბავშვთა ფეხბურთში უნდა იყოს საქმე მთლად კარგად - ბავშვსა და მშობელს საფეხბურთო სკოლებში, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად ატყუებენ...**

- მასეა, თუნდაც ის ავიღოთ, რომ ერთ მოედანზე ძალიან ბევრ ბავშვს ავარჯიშებენ. როგორ შეინახავს ბავშვთა მწვრთნელი ოჯახს, როცა ხელფასი 300-400 ლარი აქვს? უმეტეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს არანაირი ჩამოყალიბებული სტრუქტურა არ გააჩნიათ. ნახა მწვრთნელმა რაღაც სათამაშო ეპიზოდი და მერე, ცდილობს ეს ბავშვებს ასწავლოს; შემდეგ კიდევ ნახა რაღაც ეპიზოდი და მერე იმას ასწავლის. ყოველივე ეს კი, არ არის ის, რაც უნდა იყოს. მხიარულების ფაზიდან გუნდურ ტაქტიკამდე - ბავშს ეს რომ ასწავლო, რამდენიმე საფეხურია გასავლელი. ისიც სათქმელია, რომ საქართველოში ფედერაციის ეგიდით ტარდება 1992 და 1993 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონატები, სადაც კვირაში ხანდახან სამი თამაშიპ. ეს ძალიან ცუდია, რადგან ამ ბავშვებს ნორმალური აღდგენითი პროცესი არ აქვთ და თან მათი ორგანიზმი ზრდასრული არ არის. რისთვის შრომობს ბავშვთა მწვრთნელი, რა არის ბოლო წერტილი? საქართველოში ყოველივე ამას არ გააჩნია ჩამოყალიბებული სისტემა. ენთუზიაზმი რომ არ მქონდეს, ამ საქმეში არ ვიქნებოდი.

**- თქვენ გაქვთ ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმა?**

- დიახ და ამ გზით ვმუშაობ კიდეც. დიდ ყურადღებას ვაქცევ მოზარდის კარდიო-რესპირატორული სისტემის სწორ განვითარებასაც. ამ გეგმის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი კალენდარია - კვირაში 2-3 თამაში. ევროპაში ასე არ ხდება, მოზარდები კვირაში ერთხელ თამაშობენ. აქ მხოლოდ გამოფიტვის რისკი არ არის. საქართველოში თითქმის აღარ არის, ასე ვთქვათ, მეტოქის მომტყუებელი ფეხბურთი. ფინტს და დრიბლინგს კოორდინაცია და სისწრაფე სჭირდება, რაც ჯერ მშვიდ ვითარებაში უნდა გააუმჯობესოს ბავშვმა, თამაშში კი ნასწავლის გამოვლინება და შეფასება ხდება. ისიც პრობლემატურია, რომ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს შორის მკვეთრი განსხვავებაა და პირველობის მატჩებში ხანდახან ასეთი ანგარიშებიც არის - 20:0 - ამბობენ, რომ ამ მხრივ, სიტუაცია შეიცვლება, ყველა ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატშიო.

**- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ან ბავშვი, რომ საფეხბურთო სკოლაში მოტყუებული არ დარჩეს?**

- ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

**- რამდენიმე ბავშვთა სკოლა ფინანსურად წამგებიანი არ არის, თუმცა ბიზნესმენები, მაინც და მაინც, არ ინტერესდებიან ფულის ჩადებით ბავშვთა ფეხბურთში...**

- რანაირად მოვა ბიზნესმენი ფეხბურთში, როცა თვითონ ქართველი ფეხბურთელები არ არიან დაინტერესებულნი ფულის ჩადებით ამ საქმეში. მიკვირს ჩვენი ფეხბურთელებისა. ბევრი მათგანი სწორედ ფეხბურთით გახდა პიროვნება და აღარ ფიქრობენ იმაზე, რაც თვითონ აკლდათ, არ აძლევენ მაგალითს ბიზნესმენებს.

**- თქვენი ახლანდელი საქმიანობისგან რა კონკრეტულ შედეგს ელით?**

- უფეხბურთოდ ცხოვრება არ შემიძლია. ბედნიერი ვიქნები იმით, თუ ერთ-ორ მოზარდს მაინც სწორ გზაზე დავაყენებ და საინტერესო ფეხბურთელად ჩამოვაყალიბებ. მე სხვა საარსებო წყაროც მაქვს, მაგრამ რა ქნან იმ მწვრთნელებმა, სხვა სახსარი რომ არ გააჩნიათ? ბავშვთა ფეხბურთში ბევრი მწვრთნელი უკადრებელს კადრულობს, მაგრამ ბევრიც ამას არ აკეთებს.

**- არ ფიქრობთ იმაზე, ისევ შექმნათ ისეთი საინტერესო გუნდი, "თბილისი" რომ იყო?**

- ახლა რასაც ვაკეთებ, ამაზეცაა გათვლილი და იმედი მაქვს, კარგი გუნდის შექმნას კიდევ მოვახერხებ, მაგრამ ამას მარტო ვერ შევძლებ. ძალიან მინდა, რომ უფრო სრულყოფილები იყვნენ ჩემი ფეხბურთელები.

**- "თბილისში" თქვენი მწვრთნელობისას რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი წარმოჩინდა - გოგიტა გოგუა, ზაალ ელიავა, გოჩა ხოჯავა, დავით ოდიკაძე, გიორგი ჭელიძე... თუმცა მათგან ალბათ თქვენც უფრო მეტს ელოდით...**

- მათ თავიანთი მაქსიმუმისთვის ჯერ არ მიუღწევიათ და ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. გოგუამ შეცდომა დაუშვა, რუსეთში რომ წავიდა, თუმცა მიმაჩნია, რომ მას ნაკრებში უფრო მეტი ნდობა უნდა ჰქონდეს და უფრო ხშირად უნდა თამაშობდეს. ელიავას უიღბლობა დასჩემდა - რამდენიმე თვის წინათ ბეჭი ამოიგდო და ოპერაცია გაუკეთეს, ახლა კი ტრავმა გაუმიზეზდა და ისევ საოპერაციოა. ხოჯავას თამაში ორი წელია არ მინახავს და ბევრს ვერაფერს გეტყვით, ის კია, რომ ხოჯავა ხასიათის კაცია და მას გაცილებით მეტი შეუძლია, ისევე, როგორც ჭელიძესა თუ ოდიკაძეს.

**დავით თავართქილაძე**



ილია კანდელაკი

ლეგიონერები

ილია კანდელაკი

# გერმანიაში უფრო დალაგებული ფეხბურთია

## ონიანმა პირველი გაიტანა, სეთურიძე მომჯობინდა

მაშ ასე - გერმანიაშიც შეიქმნა ქართველთა საქომაგო გუნდი. უფრო სწორად, გუნდი დიდი ხანია არსებობს, ახლა მიიწვიეს ქართველები და ოთხკაციანი დიასპორა ჩამოყალიბდა იენის "კარლ ცაისში". **გიორგი ონიანის** შემდეგ კონტრაქტები (1+1) სისტემით **გიორგი სეთურიძემ** და **ილია კანდელაკმა** გააფორმეს. **რევაზ ბარაბაძე** კი სატრანსფერო დოკუმენტაციის მოწესრიგებას ელოდება და წესით, ისიც "კარლ ცაისის" ფორმას მოირგებს.

გუშინ, გიორგი სეთურიძეს ვესაუბრეთ, რომელმაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა: "*საშიში უკვე აღარაფერია. ოპერაცია კარგად გამიკეთეს და ექიმმა მითხრა, რომ აღდგენითი პროცესი წარმატებით მიდის, დაგეგმილზე უკეთესადაც. ახლა ფიზიოთერაპიის კურსს ვამთავრებ და წესით, მოედანსაც მაქსიმუმ ერთ თვეში დავუბრუნდები. უკვე დავდივარ და ფეხი აღარ მაწუხებს*".

...კანდელაკი, სეთურიძე და ონიანი "კარლ ცაისმა" საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა, მათ მალე ბარაბაძეც დაემატებათ. კანდელაკი 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, სეთურიძე - 23 ნომრით.

სხვათა შორის, ონიანმა პირველი გოლიც გაიტანა. 1 აგვისტოს იენელები ამხანაგურად დაბალი ლიგის უნტერველენზორის "შტალს" შეხვდნენ და ძალიან არაამხანაგურად დაამარცხეს - 9:0. მერვე ბურთი 23 წლის ქართველმა ცენტრალურმა მცველმა 79-ე წუთზე გაიტანა და "კარლ ცაისში" თავისი საგოლე ანგარიშიც გახსნა. გიორგი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, კანდელაკი კი ძირითადში იყო.

გუშინვე მცირე ინტერვიუ ილია კანდელაკსაც ჩამოვართვით, რომელსაც იენელთა მწვრთნელი **ფრანკ ნოიბარტი** ძალიან ემადლიერება.

**- ილია, 24-ნომრიანი მაისური მოგწონს, თუ რაც იყო ის აიღე?**

- თავდანვე ეს ნომერი მომცეს და აღარ შემიცვლია.

**- რატომ გაიწელა "კარლ ცაისთან" მოლაპარაკება?**

- მათ სურდათ, რომ სამწლიანი კონტრაქტი გამეფორმებინა. იმავეს სთხოვდნენ სეთურიძეს და ბარაბაძეს. საბოლოოდ 1+1-ზე შევთანხმდით.

**- გერმანულ ფეხბურთს თუ შეეგუე?**

- კაცმა რომ თქვას, შესაგუებელიც არაფერი მჭირს. უკრაინაში კარგად მომამზადეს და შეგუება არც გამჭირვებია. მთავარია, გუნდელები მიგებენ და ვუგებ. მართალია, ჯერ ენა არ ამითვისებია, მაგრამ ბიჭებმა მასწავლებელი ვიქირავეთ და მალე ეს პრობლემაც მოგვარდება.

**- გერმანულ და უკრაინულ ფეხბურთში რა უმთავრესი განსხვავება დაინახე?**

- განსხვავება ბევრია, მიდგომაში, პროფესიონალიზმი გერმანიაში უფრო ჩანს, ალბათ, მთავარი მაინც ესაა - გერმანელებსაც და უკრაინელებსაც ძალისმიერი ფეხბურთი უყვართ, მაგრამ გერმანელები უფრო დალაგებულად თამაშობენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ალადაშვილი მოსკოვში ვარჯიშობს

ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ დახურულა და ვინც აქამდე ვერ მოახერხა ურთიერთობის გარკვევა ძველ თუ ახალ კლუბთან, ახლა ცდილობს ამის გაკეთებას. **კახა ალადაშვილის** საკითხი, ერთი შეხედვით, გარკვეული იყო, კიევის "დინამომ" ის უკრაინის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ უჟგოროდის "ზაკარპატიეში" გაანათხოვრა. ინფორმაცია ერთი კვირის წინათ კიეველთა პრეს-სამსახურმაც დაადასტურა და საკითხი დახურული გვეგონა. თურმე, სულ ტყუილად.

რუსული ინტერნეტ-სააგენტო "სპორტი" დილით იუწყებოდა, რომ რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი "მოსკვა" ქართველ ფეხბურთელს აკვირდებოდა.

"*პრემიერლიგელი "მოსკვას" შემადგენლობაში ახალი მოთამაშე ვარჯიშობს. კლუბის ხელმძღვანელობა მის ვინაობას არ ამხელდა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგი კიევის "დინამოს" ქართველი ლეგიონერებიდან ერთ-ერთია. დღეს ის მოსკოველებთან პირველად ივარჯიშებს.*"

ინფორმაციის გავრცელებიდან ორიოდე საათში იგივე სააგენტო მოთამაშის გვარს ასახელებს - ასე სათუთად დამალული ქართველი ლეგიონერი კახა ალადაშვილი აღმოჩნდა. მინიშნებულია, რომ მან, შესაძლოა, გუნდთან კონტრაქტი უახლოეს პერიოდში გააფორმოს.

სხვათა შორის, "ზაკარპატიემდე" კახა სწორედ "მოსკვას" პასუხს ელოდა და უჟგოროდში წასვლაზე ამიტომაც ითრევდა ფეხს. ის თბილისში იმყოფებოდა ორი კვირა, რუსეთის ვიზას ელოდა - თუ გახსოვთ, "ლელო" ამაზე წერდა. თუმცა მაინც ჩააკითხა გუნდს უჟგოროდში. "ზაკარპატიეში" წასულმა ალადაშვილმა თავად გაგვიმხილა, რომ "მოსკვას" პასუხს ელოდა და რაკი იქიდან საიმედო არაფერი ისმოდა, იმედი გადაეწურა.

როგორც გვითხრეს, ერთი კვირის წინათ ქართველი ლეგიონერის მენეჯერმა **ახრიკ ცვეიბამ** მოსკოველებთან მოლაპარაკება განაახლა და ალადაშვილიც ამიტომ აღმოჩნდა მოსკოვში. სხვათა შორის, თავიდან "მოსკვას" ალადაშვილის გამოსყიდვა სურდა. ახლა კი იჯარაზეა საუბარი თუ კვლავ სრულფასოვან ტრანსფერზე, არაფერს იუწყება არც რუსული, არც უკრაინული კლუბი.



კახა ალადაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი დემეტრაძე

# ზავაროვმა, დემეტრაძე სათადარიგო არააო!

**გიორგი დემეტრაძე** კიევის "არსენალში" დიდი ხმაურით გადაიყვანეს. საქართველოს ნაკრების თავდამხსმელი უმალ პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, გარიგების დეტალები ყველას აინტერესებდა.

თუმცა დაიწყო უკრაინის ჩემპიონატი და გიორგი მხოლოდ შეცვლაზე თამაშობს. "ნეფტიანიკთან" მოგებული (3:0) მატჩის შემდეგ,"მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრ ზავაროვს** ქართველი ლეგიონერის უთამაშებლობის მიზეზი ჰკითხეს - "არსენალში" გადასვლისას, ალბათ, დემეტრაძე ძირითადში მყარად დამკვიდრებას იმედოვნებდა, ახლა კი მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებთ და რა არის მიზეზი?

"*ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს. არ მომბეზრდება გამეორება, რომ "არსენალს" ჰყავს ძირითადის არა თერთმეტი, არამედ ოცი მოთამაშე. თითოეული მათგანი ნებისმიერ დროს მოედანზე გამოვა. ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ ამჟამად შეცვლაზე მოთამაშე არც ერთი ფეხბურთელისთვის ხაზი არ გადამისვამს, მათ შორის, არც დემეტრაძისთვის! გიორგი გამოცდილი მოთამაშეა, შეუძლია ბურთის დაჭერა და მისი დამორჩილება. ქართველი ფორვარდი სარგებლობას აუცილებლად მოგვიტანს. ამჟამად კარგი შემსრულებლები შევკრიბეთ და შემადგენლობას მეტოქის მიხედვით შევცვლით*",- ასეთი იყო ზავაროვის პასუხი.

**მერაბ მამულაშვილი**


კირონ დაიერი

ნიუკასლი

# სმიტი დაიერის ნაცვლად

## ნიუკასლის ნახევარმცველი ვესტ ჰემში მიდის, ჯორდები შევსებას მანჩესტერიდან ელოდებიან...

**კირონ დაიერი** "ვესტ ჰემში" გადადის. "ჩაქუჩები" "ნიუკასლს" 6 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ფეხბურთელს კი სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ, რომლის წყალობითაც ის 12 მილიონ გირვანქას (კვირაში 80 ათასი) ჩაიჯიბავს. 28 წლის ნახევარმცველი ლონდონში ჩასვლას მოუთმენლად ელის. მისი ოჯახი და ორი შვილი დედაქალაქის მახლობლად ცხოვრობს. ამგვარად, ორი დღეც და დაიერის რვაწლიან ნიუკასლურ კარიერას წერტილი დაესმება. ამ რვა სეზონის განმავლობაში ფეხბურთელი არაერთხელ მოხვედრილა გაზეთების პირველ გვერდზე. როგორც წესი, ეს ნეგატიური მოვლენის გამო ხდებოდა. მაგალითად, 2005 წელს დაიერი თანაგუნდელ **ლი ბოუიერს** პირდაპირ მინდორზე წაეკიდა. მათ ისე იჩხუბეს, რომ ძლივს გააშველეს. "ნიუკასლმა" ორივე ბუნტისთავს სანქციები გამოუწერა.

ბოუიერისა და დაიერის გზები "ვესტ ჰემში" გადაიკვეთება. მოგეხსენებათ, ლიც "აპტონ პარკზე" თამაშობს. ფეხბურთელები ამბობენ, რომ ორი წლის წინანდელი უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა და ახალი კონფლიქტი გამორიცხულია. მოლაპარაკება ვესტ ჰემსა და ნიუკასლს შორის თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. ჯორდები 8 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ. ლონდონელებს მხოლოდ 4 მილიონის გადახდა სურდათ. საბოლოოდ ცოტა ერთმა მხარემ დათმო, ცოტა მეორემ და შეთანხმება შედგა. "ნიუკასლის" ქომაგებმა ეს შეთანხმება ორიგინალურად აღნიშნეს. ისინი დაიერის სახლთან მივიდნენ და შენობასა და მანქანას კვერცხები დააყარეს. კირონი "ნიუკასლში" 1999 წელს **რუუდ გულიტის** ინიციატივით გადავიდა. მისმა ყოფილმა კლუბმა "იფსვიჩმა" ტრანსფერის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა მიიღო. როგორც ხედავთ, რვა წლის განმალობაში ნახევარმცველის ფასი არ შეცვლილა.

ნიუკასლელთა თავკაცი **სემ ელერდაისი** კი უკვე იმაზე ფიქრობს, ვინ იყიდოს ამ ფულით. მას თვალი მანჩესტერელ **ალან სმიტზე** უჭირავს. "ეშმაკები" ფეხბურთელის სანაცვლოდ ზუსტად იმ თანხას ითხოვენ, რომელსაც ჯორდები დაიერის ტრანსფერში აიღებენ. სმიტს "მიდლსბრო" და "სანდერლენდიც" ეპატიჟებიან, მაგრამ "ნიუკასლის" ვარიანტი ყველაზე უფრო მისაღებია. ჯორდების კიდევ ერთი სამიზნეა "სევილიის" სერბი ნახევარმცველი **ივიცა დრაგუტინოვიჩი**. ის 5 მილიონი გირვანქა ღირს.

კიდევ ორი ინფორმაცია ჯორდების ბანაკიდან. ელერდაისმა **ობა მარტინსთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. ნიგერიულ დღევანდელ ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტია ჩადებული: თუ დაინტერესებული კლუბი 13 მილიონ გირვანქას გადაიხდის, კლუბს მისი გაშვება მოუწევს. მწვრთნელს თავის დაზღვევა სურს. მარტინსს "სენტ ჯეიმსზე" დარჩენა უნდა. ამ ზაფხულს ნიუკასლელებმა ავსტრალიელი **მარკ ვიდუკა** დაიმატეს. მის გარდა, გუნდში კიდევ ორი თავდამსხმელია: **მაიკლ ოუენი** და **შოლა ამეობი**. მარტინსი ინგლისში ერთი წლის წინათ "ინტერიდან" გადავიდა და სადებიუტო სეზონში ყველა ტურნირზე 17 გოლით გამოიჩინა თავი.

და კიდევ, ბრიტანეთის სასამართლომ "ნიუკასლის" ახალწვეულ **ჯოი ბარტონს** ოფიციალურად წაუყენა ბრალდება ყოფილ თანაგუნდელ **უსმან დაბოზე** თავდასხმისთვის. ინციდენტი გასული სეზონის მიწურულს, "მანჩესტერ სიტის" საწვრთნელ ბაზაზე მოხდა. "სიტის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელს უვადო დისკვალიფიკაცია გამოუწერა, მერე კი, სეზონის დასრულებისთანავე "ნიუკასლს" დაუთმო. ჯორდებმა 5.8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. 24 წლის ბარტონს მცირე ტრავმა აქვს და ვერ ვარჯიშობს. დღეს ის მანჩესტერში გაემგზავრება და სასამართლოში იმართლებს თავს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ვან დერ სარი იანვარში გადაწყვეტს

## 9 წლის ავსტრალიელი ვუნდერკინდი ეშმაკებში ჩაირიცხა

**ედვინ ვარ დერ სარი** იანვარში გადაწყვეტს, გააფორმოს თუ არა ახალი კონტრაქტი "მანჩესტერ იუნაიტედთან". ხელშეკრულება გაისად ივნისში იწურება. კლუბმა ვეტერან გოლკიპერთან თანამშრომლობის გაგრძელება მოისურვა, ფეხბურთელმა კი მოლაპარაკებების დაწყება მინიმუმ ნახევარი წლით გადადო. გასულ სეზონში ვან დერ სარის ასპარეზობა საკმაოდ დამაჯერებელი იყო, თუმცა მიმომხილველთა ერთი ნაწილი ასოციაციის თასის ფინალში მარცხის გამო მას ადანაშაულებს. მათი მტკიცებით, **დიდიე დროგბას** გოლი პირადად მეკარის სინდისზეა. ახალი სეზონის წინ "იუნაიტედს" მეორე მეკარე **ბენ ფოსტერი** დაშავებული ჰყავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 36 წლის ვან დერ სარს ძირითადში თამაში გარანტირებული აქვს, ჩემპიონატის პირველ ტურებში მაინც. *"წინა სეზონი ძალიან მომქანცველი იყო. ზაფხულში კარგად დავისვენე და ბრძოლისთვის მზად ვარ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. არ ვფიქრობ იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, სკამზე ამოვჩნდე. თამაში ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს,"* - ამბობს ჰოლანდიელი ვეტერანი.


ედვინ ვან დერ სარი

ამასობაში, "მანჩესტერის" ბავშვთა გუნდში 9 წლის **რეინ დევისი** ჩაირიცხა. ის ავსტრალიელია და დღემდე ბრისბენის ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. რეინის ბაბუამ "იუნაიტედის" სკაუტებს შვილიშვილის თამაშის ამსახველი ვიდეოფირი გაუგზავნა. ფირმა მანჩესტერელ მწვრთნელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყმაწვილის ბედი თვალის დახამხამებაში გადაწყდა. ბიჭუნა რეინი ბრიტანეთის მოქალაქეცაა, რადგან მისი დედა **ლეა** ინგლისელია. ოჯახის წევრებს "იუნაიტედის" მეთავაზებაზე დიდხანს არ უფიქრიათ. ერთი თვის წინათ რეინი და მისი მამა **მარკი** ჩეშირში, "ქერინგტონის" საწვრთნელი ბაზის სიახლოვეს დასახლდნენ. მალე მათ დედა და კიდევ ორი ძმა შეუერთდებათ. პატარა დევისი მანჩესტერელთა 12-წლამდელთა გუნდში ითამაშებს. ასე გაგრძელდება სამი წლის განმავლობაში. როცა ბიჭუნას 12 წელი შეუსრულდება, "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ დაჯდება და გადაწყვეტს, გაუგრძელოს თუ არა ბიჭუნას სტიპენდია.

### დელ ორნო ვალენსიაში დარჩა

როგორც ჩანს, **ასიერ დელ ორნო** "ვალენსიაში" დარჩება. "ღამურებმა" პირველი წინასასეზონო შეკრება ჰოლანდიაში გამართეს. მთავარმა მწვრთნელმა **კიკე ფლორესმა** დელ ორნო ესპანეთში დატოვა. მან კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა, ფეხბურთელისთვის ახალი სამსახური მოეძებნათ. ასიერით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ ფეხბურთელმა უკლებლივ ყველა წინადადება უარყო. მას არავინ შესთავაზა იმხელა ანაზღაურება, რამხელაც ვალენსიაში აქვს - წელიწადში 1.8 მილიონი ევრო. გარიგება არ შედგა. დელ ორნო შინ დაბრუნებულ ვალენსიელებს შეუერთდა და მათთან ერთად განაახლა ვარჯიში. ასიერი "მესტალიაზე" ერთი წლის წინათ, "ჩელსიდან" გადავიდა. მან ექვსწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი, "არისტოკრატებმა" კი 7.5 მილიონი ევრო მიიღეს. შედარებისთვის, ერთი წლით ადრე "ჩელსიმ" ბილბაოს "ატლეტიკს" დელ ორნოს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაუხადა. მიმომხილველთა ვარაუდით, ფეხბურთელს სკამზე ჯდომა მოუწევს. ფლორესის ნომერი პირველი მარცხენა მცველი **ემილიანო მორეტია**. დელ ორნო უთამაშებლობას მიჩვეულია. გასულ სეზონში მან მხოლოდ ექვსი მატჩი ჩაატარა. მიზეზი ტრავმა იყო. ტრავმის გამო ფეხბურთელი შარშანდელ მუნდიალზეც ვერ გაემგზავრა.

### რეალი: ლუჩო თუ ნასრი?

"რეალი" არგენტინელი ნახევარმცველით **ლუჩო გონსალესით** დაინტერესდა. მისი დღევანდელი კლუბი "პორტუ" გარიგებაზე თანახმაა, მაგრამ სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს ითხოვს. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების ნაწილი სკანდალურად ცნობილი კომპანია MSI-ის ეკუთვნის. ეს ის კომპანიაა, რომელიც "ვესტ ჰემს" **კარლოს ტევესს** ედავება და ფორვარდს "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის საშუალებას არ აძლევს. ლუჩო გონსალესის შეძენა "ვალენსიასა" და "ლიონსაც" სურდათ, მაგრამ "პორტუს" მიერ მოთხოვნილმა თანხამ ამ კლუბებს ინტერესი გაუქრო.

"რეალში" შეიძლება ჩაირიცხოს კიდევ ერთი ნახევარმცველი, მარსელელი **სამირ ნასრი**. სამეფო კლუბს ფრანგებთან წინასწარი შეთანხმება მიღწეული აქვთ. ტრანსფერი გაისად იგეგმებოდა, მაგრამ არაა გამორიცხული, გარიგება დაუყოვნებლივ შედგეს. ამ ინფორმაციას "მარკა" ავრცელებს. მხარეებს კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ.

### მიდო სანდერლენდში ჩაირიცხა

**მიდომ** "სანდერლენდს" მიაშურა. ეგვიპტელმა თავდამსხმელმა პრემიერლიგის დებიუტანტებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ტოტენჰემმა" კი კომპენსაციის სახით 6 მილიონი გირვანქა მიიღო. ჯერჯერობით, აჰმედ ჰოსამ მიდო **როი კინის** ყველაზე დიდი შენაძენია. ახალგაზრდა მწვრთნელს ამხელა თანხა არავიში დაუხარჯავს. მიდოს კვირაში 40 ათას გირვანქას გადაუხდიან. ის "შავი კატების" რიგით მეექვსე ახალწვეული გახდა.

აზიური ტურნე

# ბარსელონელებს ძამბროტაც აკრიტიკებს

"ბარსელონის" აზიურ ტურნეში გამგზავრება **ჯანლუკა ძამბროტამაც** გააკრიტიკა: *"უკეთესი იქნებოდა, შინ დავრჩენილიყავით. ამ სიშორეზე მომზადება ადვილი არ არის. მარტო მრავალსაათიანი მგზავრობა რად ღირს. ფეხბურთელებს ძალა გამოელევათ."* "ბარსამ" გასული სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა. კარს მომდგარ ჩემპიონატში (პრიმერა დივიზიონი 25 აგვისტოს განახლდება) **ფრანკ რიიკაარდი** ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას გეგმავს. დირექტორთა მხარდაჭერით, მან მაქსიმალურად ნაყოფიერი შეკრება დაგეგმა. კატალონიელები აზიაში 11 აგვისტომდე დარჩებიან და სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. რა თქმა უნდა, ამ თამაშების წყალობით, მათ საბანკო ანგარიშზეც სოლიდური თანხა ჩაირიცხება. ერთი დღით ადრე ჩინეთსა და იაპონიაში დაგეგმილი ვოიაჟები **ლილიან ტურამმაც** გააპროტესტა, მაგრამ ასეთი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს "ბარსელონაში" არც ტურამი იღებს და არც ძამბროტა.

პრეზიდენტ **ხოან ლაპორტას** მიაჩნია, რომ აზიური შეკრება კლუბის მომზადებას არაფერს ავნებს. "ბარსამ" შორეულ აღმოსავლეთში 2005 წელსაც იმოგზაურა და ის სეზონი ოქროს მედლებით დაასრულა. ესეც არ იყოს, ჩინეთსა და იაპონიაში "ბარსელონას" გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი კლუბი ჰყავს. ქომაგებს კი სათანადო ყურადღება სჭირდებათ. ერთი წლის წინათ "ბარსას" ორკვირიანი შეკრება ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში. იქედან დაბრუნებულმა ზოგიერთმა ფეხბურთელმა, მათ შორის, **რონალდინიომ** თქვა, რომ ძალების მოკრების ნაცვლად, ახალ სეზონს ძალაგამოლეულები შეხვდნენ. მაგრამ თუ ფინანსურ მოგებას გავითვალისწინებთ, ყველაფერი ნათელი გახდება. კატალონიელებმა ამერიკიდან 4 მილიონი ევრო ჩამოიტანეს. აზიური და ამერიკული ტურნეები "რეალსაც" არაერთხელ მოუწყვია, მაგრამ წლეულს, ახალი დამრიგებლის, **ბერნდ შუსტერის** მოთხოვნით, გუნდი ევროპაში დარჩა და ფაქტობრივად, შინათ ემზადება. ორიოდე დღის წინ სამეფო კლუბმა ჰანოვერთან ამხანაგური მატჩი გამართა და პირწმინდად წააგო, 0:3. მადრიდელები ამ მარცხს გადაღლილობას ვერ დააბრალებენ.


თანამოაზრეები, ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლოს ტევესი

სატრანსფერო საგა

# დროზე, თორემ ჩამივარდა სეზონი!

## ტევესზე დღეს შეთანხმდებიანო...

**კარლო ტევესი** შიშობს, რომ თუ მის ტრანსფერთან დაკავშირებული ეს ვაკხანალია კიდევ გაგრძელდა, სეზონი ჩაუვარდება. ის თავის მრჩევლებს სთხოვს, რაც შეიძლება მალე გაარკვიონ მისი მომავალი სამუშაო ადგილი. "ვესტ ჰემისა" და არგენტინელი ფორვარდის მთავარ წარმომადგენელ **კია ჯურაბჩიანს** შორის მოლაპარაკებები უსაშველოდ გაიწელა. გუშინ ღამით ამ მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდიც უშედეგოდ დასრულდა. მხარეები გადამწყვეტ ფაზაში შევიდნენ და თუ მომდევნო შეხვედრაც ვერ გამოიღებს ნაყოფს, საქმის გარჩევა სასამართლოს კედლებში გადაინაცვლებს.

ტევესმა ჩინებულად იასპარეზა "კოპა ამერიკაზე". მაგრამ ახლა, ფაქტობრივად, ველარ ვარჯიშობს, რაც მის კონდიციებს სერიოზულ დაღს დაასვამს. *"დროულად უნდა მივიღოთ რაღაც გადაწყვეტილება, თორემ ჩემს კარიერაზე ეს ძალზე ცუდად იმოქმედებს, - ამბობს კარლოსი, - წინასასეზონო მომზადების გარეშე "მანჩესტერ იუნაიტედის" დარ გუნდში თამაში სერიოზულ წინააღმდეგობას შემიქმნის. მაგრამ მე მებრძოლი ვარ და ნებისმიერი გამოწვევისთვის მზად ვიქნები. ახლაც ვგრძნობ, რომ ფსიქოლოგიურად უკვე მოვემზადე "მანჩესტერში" თამაშისთვის, მაგრამ კიდევ მოვუწოდებ ორივე მხარეს, რომ დროულად მოაბან საქმეს თავი".*

მოგეხსენებათ, ტევესის სატრანსფერო უფლებებს საინვესტიციო კომპანია MSI განაგებს. ამ კომპანიის მფლობელი გახლავთ სწორედ ირანელი ბიზნესმენი ჯურაბჩიანი, რომელიც ირწმუნება, რომ მის კლიენტს "ვესტ ჰემიდან" წასვლა 100 ათასი გირვანქის საფასურადაც შეუძლია. მას არგუმენტად მოჰყავს კონტრაქტი, რომელიც "ჩაქუჩებთან" აპრილში გაფორმდა, თუმცა ლონდონური კლუბი ამ კონტრაქტს არ სცნობს...

ამასობაში, ტევესის საგას **ხუან სებასტიან ვერონი** გამოეხმაურა. გამოცდილი ვერონი ახალგაზრდა თანაგუნდელს აფრთხილებს, რომ "მანჩესტერმა", შეიძლება, კარიერა დაუნგრიოს. მან იცის, რას ნიშნავს პრემიერლიგაში და კერძოდ, "მენიუში" თამაში. 2001 წელს ვერონი იქ 28 მილიონ გირვანქად მოეწყო, მაგრამ ერთ სეზონში ორი სერიოზული ტრავმა მიიღო და თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ აჩვენა. ფლეიმეიქერი "დეილი სტარს" გაესაუბრა:

*"კარლოსი ნახავს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" არანაირად არ ჰგავს "ვესტ ჰემს" არც ერთ ასპექტში. მას აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციაში მოუწევს ყოფნა და როგორც კი საქმე ვერ აეწყობა ისე, როგორც მას სურს, ეს უმალ უმძიმეს დაღს დაასვამს მის მომავალს. ამას სუპერვარსკვლავებიც ვერ უძლებენ. ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა "მანჩესტერი" სწორედაც რომ უმძიმესი წნეხის გამო. "ოლდ ტრაფორდის" პუბლიკა მეტად მომთხოვნი და ამავდროულად, კრიტიკულია. ტევესს ამაზე რამდენჯერმე ვესაუბრე. თუ "ვესტ ჰემში" კერპი ხარ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ "იუნაიტედშიც" მიაღწევს ამას".*

**P.S. გუშინ გვიან ღამით BBC-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ვესტ ჰემი" და ტევესის მხარე დღეს დაადასტურებენ, რომ შეთანხმება მიღწეულია და რომ არგენტინელი ფორვარდი კარიერას "მანჩესტერ იუნაიტედში" გააგრძელებს.**

## მილანმა პატო მაინც იყიდა

**გუშინ** საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბრაზილიელი ვუნდერკინდი, 17 წლის ნახევარმცველი ალეშანდრე პატო, რომელიც "ახალი კაკას" სახელითაცაა ცნობილი, "მილანში" ითამაშებს. ამომავალი ვარსკვლავი "როსონერისთან" 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, იტალიური გრანდი კი პორტუ ალეგრეს "ინტერნასიონალს" 20 მილიონ დოლარს მიუთვლის. "მილანისთვის" ეს ტრანსფერი იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ პატოსთვის "ინტერიც" იბრძოდა.

ამხანაგური მატჩები

# დაცვას უნდა მივხედოთო...

## უკვე ნამდვილი ინტერი და წყენა დარღვეული კონტრაქტის გამო




დელ პიერომ კარგად კი ითამაშა, მაგრამ...

| ჰამბურგი-იუვენტუსი | 1:0 |
|---|---|

**ჰამბურგი:** როსტი (46. ჰესლი), ბრეჩკო, რაინჰარდტი, მატიისენი (46. კომპანი), ბენიამინი (46. ატუბა), დემელი (46. ადო), დე იონგი (46. იაროლიმი), კასტელენი (67. საკა), ვან დერ ვაარტი (46. სამი), ტროხოვსკი (46. ოლიჩი), ზიდანი (46. ჩუპო-მოტინგი).

**იუვენტუსი:** ბელარდი, ბირინდელი, ბუმსონგი, ლეგროტალიე, კრიშიტო, ბლაზი, ნოჩერინო, კ. ძანეტი (77. ალმირონი), სალიჰამიჯიჩი, პალადინო (87. იაკუინტა), დელ პიერო (87. ნედვედი).

**გოლი:** 1:0 ჩუპო-მოტინგი (85)

"იუვენტუსმა" ზედიზედ მეორე მარცხი (კვირას "ნიუკასლთან", 0:2) წინასასეზონო ამხანაგურ მატჩში იწვნია, რომელიც ჰამბურგის AOL-არენაზე გაიმართა. მასპინძლები ფრიად კმაყოფილნი კი დარჩნენ ამ გამარჯვებით, მაგრამ სტუმრებს ერთი რამის გამო მაინც შემოსწყრნენ. საქმე ისაა, რომ იმ კონტრაქტის მიხედვით, რომელშიც "ჰამბურგის" ბოსებმა 150 ათასი ევრო გადაიხადეს, **კლაუდიო რანიერის** ძირითადი შემადგენლობა უნდა დაეყენებინა. თუმცა ტრიბუნებზე შეკრებილ 50 ათასამდე მაყურებელს ხელთ "ქალბატონის" სათადარიგო ფორმაცია შერჩა. ეტყობა, რანიერიმ იფიქრა, რომ კონტრაქტის პირობის შესასრულებლად **ალესანდრო დელ პიეროს** გამოყვანაც საკმარისი იქნებოდა. საერთოდ არ გამოჩენილან **დავიდ ტრეზეგე** და **ჯანლუიჯი ბუფონი, პაველ ნედვედი** და **ვინჩენცო იაკუინტა** კი მწვრთნელმა მხოლოდ ბოლო სამი წუთი ათამაშა...

დელ პიერო კი "იუვენტუსი 2"-ში ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო. რანიერიმაც აღნიშნა, რომ კაპიტანს ნაკლებად ეტყობოდა შვებულებითა თუ ბოლო ტრავმით გამოწვეული პაუზა. ის ჭეშმარიტი პროფესიონალია და მისგან ასეთი თამაში არც გამკვირვებიაო, ხაზი გაუსვა რანიერიმ. მწვრთნელს მოეწონა ფრანგი ცენტრალური მცველი **ჟან-ალენ ბუმსონგიც**, რომელსაც "იუვე" თითქოს გაყიდვას უპირებდა: *"მან ძალიან კარგად ითამაშა. ვარჯიშებზეც არ ზოგავს თავს. უაღრესად მოტივირებული და მონდომებულია".*

ზოგადად თამაში კი რანიერიმ ასე შეაფასა: *"ნიუკასლთან" შედარებით, "ჰამბურგი" უფრო სწრაფი გუნდია, ფიზიკურად კარგადაა მომზადებული და ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენზე ადრე შეუდგა სეზონისთვის მზადებას, ინტერტოტოს თასზე გამოსვლაც მოასწრო. ჩვენ კი, ჯერჯერობით, გზის დასაწყისში ვართ. მიუხედავად ამისა, "იუვეს" თამაშით კმაყოფილებას ვერ დავმალავ. ფეხბურთელებმა თითქმის ყველა დავალება კარგად შეასრულეს. განსაკუთრებით მომეწონა შეხვედრის საწყისი ნაწილი, მერე კი ცოტა დავიღალეთ და თამაშის ბოლოს გაშვებული გოლიც ამის ბრალია. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ საშუალება მომეცა, ბევრი ახალი მოთამაშე გამომეცადა. დასკვნა ერთია: ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. თქვენ ამბობთ, რომ ხალხი ჩვენგან მეტს ელოდა? ბუნებრივია, ასეც იქნებოდა და მომავალშიც ასე იქნება, რადგან როცა "იუვე" გქვია, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს გთხოვენ".*

ქათინაური ეკუთვნის **ჰუუბ სტევენსის** გუნდსაც და ცხადია, უფრო მეტადაც. მართალია, რანიერიმ აღნიშნა - თამაშის დასაწყისში უკეთ გამოვიყურებოდითო, მაგრამ სწორედ მატჩის ამ ნაწილში ბუფონის დუბლიორმა **ემანუელე ბელარდიმ** სამჯერ იხსნა "იუვენტუსი": ორ შემთხვევაში **რაფაელ ვან დერ ვაარტის** დარტყმისგან, ხოლო ერთ ეპიზოდში **მოჰამედ ზიდანს** ჰქონდა გოლის გატანის შანსი. მაგრამ ბელარდიმ ველარ გადაარჩინა გუნდი მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, როცა "იუვე" კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ვინმე **ერიკ მაქსიმ ჩუპო-მოტინგმა** (18 წლისაა და გერმანიის მოქალაქეც გახლავთ) გამარჯვების გოლიც გამოაცხო.

მანამდე, შანსები "იუვენტუსსაც" ჰქონდა. გოლის გატანა შეეძლოთ მცველ **დომენიკო კრიშიტოსა** და ნახევარმცველ **ანტონიო ნოჩერინოს**. პლუს ამას, ერთ მომენტში არბიტრს ტურინელთა სასარგებლოდ პენალტის დანიშვნაც შეეძლო, როცა **ბასტიან რაინჰარდტი** დელ პიეროს ეუხეშა, თუმცა რეფერიმ თამაშის გაგრძელება ბრძანა...

| მანჩესტერ იუნ-ინტერი | 2:3 |
|---|---|

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი, ო'ში, იგლზი, გიგზი, კრისტიანო რონალდო, რუნი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი (76. ტოლდო), მაქსველი (90. ბოლცონი), მატერაცი (46. სეზარი), სამუელი, კივუ, სტანკოვიჩი, დაკური (77. ფილკორი), სოლარი (65. დესენკლოსი), ფიგუ (59. ხიმენესი), იბრაჰიმოვიჩი (46. ადრიანო), სუასო (59. კრუსი).

**გოლები:** 1:0 რუნი (17), 1:1 სუასო (21), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (27), 1:3 სუასო (34), 2:3 ადრიანო (57-საკ. კარში)

...0:2 "ვალენსიასთან" და 1:2 "არსენალთან". როგორც ჩანს, "ინტერი" ნელ-ნელა ფორმაში შედის და ამ ორი მარცხის შემდეგ, "ოლდ ტრაფორდზე" "მანჩესტერ იუნაიტედს" 3:2 მოუგო. ეს უკვე ნამდვილი "ინტერი" იყო. ინგლისისა და იტალიის ჩემპიონთა მატჩს, რომელიც "პირელის თასის" ეგიდით ჩატარდა, მიუხედავად საზაფხულო შვებულებებისა, სავსე სტადიონმა ადევნა თვალყური. ოფიციალური მონაცემებით, მატჩს 73 738 მაყურებელი დაესწრო, რაც "მანჩესტერისთვის", ამხანაგური მატჩების განხრით, აბსოლუტური რეკორდია...

სერ **ალექს ფერგიუსონმაც** და **რობერტო მანჩინიმაც** საბრძოლო შემადგენლობებს მოუყარეს თავი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფერგის ერთი ცვლილებაც კი არ გაუკეთებია, მაშინ, როცა მანჩინიმ ყველა რეზერვისტი ათამაშა. ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა. "მენიუმ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა და **კრისტიანო რონალდოს** პასის შემდეგ, უმეთვალყუროდ დარჩენილმა **უეინ რუნის** გოლის გატანა არ გასჭირვებია. "ინტერი" არ დაბნეულა. ოთხ წუთში **ლუიშ ფიგუმ** საჯარიმოში ჩააწოდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ბურთი თავით დაუგდო **დავიდ სუასოს** და ჰონდურასელმა წონასწორობა აღადგინა.

ამის შემდეგ, მანჩინის გუნდი კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა და ტაიმის ბოლომდე **ედვინ ვან დერს სარს** კიდევ ორჯერ მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა. იბრაჰიმოვიჩის გოლი უბრალოდ, გენიალური იყო. **დეაინ სტანკოვიჩისა** და ფიგუს მიერ ეფექტურად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, ზლატანმა ნახტომში დასცხო და "ინტერი" დააწინაურა. მერე ისევ სუასოს ჯერი დადგა. ფიგუ ამ გოლშიც მონაწილეობდა. მის ზუსტ გადაცემას ექსკალიარელის დუბლი მოჰყვა. საგულისხმოა, რომ სუასომ ბოლო ორ მატჩში 3 გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში "მანჩესტერი" ბევრს ეცადა თამაშის შემობრუნებას. რუნიმ ხარიხას გაარტყა ბურთი, მერე **ჟულიო სეზარმა** ძლივს მოიგერია კრისტიანო რონალდოს დარტყმული, ჩინებული მომენტი ჰქონდა **რიო ფერდინანდსაც**... მაგრამ ინგლისის ჩემპიონს შანსი მაინც "ინტერმა" მისცა, უფრო სწორად, **ადრიანომ,** რომელმაც რონალდოს დარტყმას თავი შეუშვირა და ფრიად ეფექტური ავტოგოლიც გამოუვიდა. ეს 57-ე წუთზე მოხდა, თუმც თამაშის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მატჩის შემდეგ მანჩინი აღფრთოვანებას ვერ მალავდა **სუასო-იბრაჰიმოვიჩის** ტანდემით. როგორც ჩანს, სუასო უკვე იქცა ძირითადის მოთამაშედ, რაც ადრიანოსთვის კარგი ამბავი არ უნდა იყოს. "ინტერის" მწვრთნელმა თამაში ასე შეაჯამა: *"ეს არ იყო ჩვეულებრივი ამხანაგური მატჩი, თუნდაც თამაშის ხასიათიდან გამომდინარე. როცა "მანჩესტერ იუნაიტედს" ეთამაშები, დამატებითი მოტივაცია არ გჭირდება. იმედი მაქვს, აქ ჩემპიონთა ლიგის დროს დავბრუნდებით... დღეს სუასოსა და იბრაჰიმოვიჩის წყვილი საუკეთესო იყო. არადა, ისინი მხოლოდ მეორედ თამაშობდნენ გვერდიგვერდ. ეს დიდი ავანსია სეზონის წინ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სუასოში არ შევმცდარვართ. ადრიანო? მისი აღნაგობის მქონე ფეხბურთელი რომ უფრო მალე იღლება, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს".*

ფერგიუსონი დაცვის უნიათო თამაშმა გააბრაზა: *"პირველ ტაიმში ჩვენი უკანა ხაზი აბსოლუტურად დემორალიზებული იყო. როცა ასე იცავ თავს, ვერც ერთ მატჩს ვერ მოიგებ, თუნდაც გაცილებით სუსტ მეტოქეს ეთამაშებოდე... ინგლისური კლუბი რომ გვყოლოდა მეტოქედ, ალბათ, უფრო მეტი ჯარიმა დაინიშნებოდა ჩვენს სასარგებლოდ... დრო და დრო, კარგად ვთამაშობდით ერთი შეხებით. ისეთი გამოცდილი გუნდიც კი, როგორიც "ინტერია", ამას რომ ვერაფერს უპირისპირებს, ჩემთვის ეს ძალზე სასიხარულოა".*




სუასოს გააქვს გოლი მანჩესტერის კარში

ინტერვიუ ფილიპ ლამთან

# ჩვენს წინაშე ისევ შიშით ძრწიან!

## ბაიერნის ფლანგის მცველი დარწმუნებულია, რომ ვერცხლის სინი მიუნხენში დაბრუნდება...



ფილიპ ლამი

**არის პირველი ტიტული - გერმანიის ლიგის თასი! და ახლა "ბაიერნი" ბუნდესლიგის სტარტისთვის ემზადება. მანამდე კი, მიუნხენურ კლუბს გერმანიის თასის პირველი რაუნდი უწევს. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მიზანში ამჯერად ფილიპ ლამი ამოიღეს - გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ამ უკანასკნელს "შპორტ აინსის" კორესპონდენტმა ჩამოართვა.**

**- ჰერ ლამ, როგორ დაისვენეთ? ფაქტია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად გქონდათ ხეირიანი შვებულება და კარგადაც განიტვირთებოდით...**

- ასეთი დამღლელი და მძიმე სეზონის შემდეგ კარგად დასვენება ძალიან მჭირდებოდა. როგორც იქნა, გამოვნახე დრო იმისთვის, რომ ჩემს ოჯახზე მეზრუნა და მეგობრებისთვის უფრო მეტი დრო დამეთმო. ერთი კვირა სამხრეთ აფრიკაში გავატარე, დარჩენილი პერიოდი კი მიუნხენში გავატარე.

**- სამხრეთ აფრიკა როგორ მოგეწონათ? 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ ამ ქვეყანაში უნდა გაიმართოს და ალბათ პირველი შთაბეჭდილებები გჭირდებოდათ...**

- ამ ვიზიტმა ძალიან მომხიბლა. სტადიონები დავათვალიერე და მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს შევხვდი. ამას გარდა, ქველმოქმედებასაც მივყავი ხელი. რამდენიმე ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა ავიღე და შიდსის პროექტებშიც ჩავები. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, - დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეთ აფრიკა მუნდიალს უპრობლემოდ უმასპინძლებს და მჯერა, რომ ტურნირი შესანიშნავი გამოვა. იქაური ხალხი მსოფლიოს ჩემპიონატს მოუთმენლად ელის, ეიფორია უდიდესია.

**- ეიფორია ახლა მიუნხენშიც უდიდესია - "ბაიერნის" გულშემატკივრები ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელიან. რეკორდმაისტერმა ლიგის თასზე იმდენად კარგად ითამაშა, რომ თითქმის ყველა ერთ აზრზეა - "ბაიერნს" "ვერცხლის სინის" დაბრუნება არ გაუჭირდებაო. თქვენ, რას ელით ახალი სეზონისგან?**

- დიახ, ახალ სეზონში "ბაიერნისგან" ყველა სასწაულებს ელის, მაგრამ ჩვენი გუნდისგან ფანები ყოველთვის წარმატებებს ელიან და ამ მხრივ გასაკვირი არაფერია. მიზანი ამთავითვე ცნობილია: გერმანიის ჩემპიონები უნდა გავხდეთ და გერმანიის თასიც უნდა დავისაკუთროთ. რაც შეეხება ევროსარბიელს, "ბაიერნისთვის" უეფას თასი სიახლეა, ისევე, როგორც ამ ტურნირისთვისაა "ბაიერნი" სიახლე. 10 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რეკორდმაისტერმა უეფას თასზე უკანასკნელად იასპარეზა. 1996 წელს "ბაიერნმა" ეს ტურნირი სულაც მოიგო, მაგრამ უეფას თასს მაშინ სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა - გაცილებით პოპულარული ევროტურნირი იყო. ძალიან კარგი იქნება, თუ უეფას თასს ავიღებთ.

**- გასულ კვირას რეკორდმაისტერმა პირველი ტიტული მოიგო, დაამარცხა რა "შალკე", გერმანიის ლიგის თასის ფინალში. ამ ტიტულს თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?**

- თუ ფიქრობთ, რომ ლიგის თასს "ბაიერნისთვის" არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ძალიან ცდებით. ასე რომ ყოფილიყო, ბოლომდე არ ვიბრძოლებდით. კარგია, როცა სეზონს ტიტულით იწყებ, ეს მოტივაციას ზრდის. პირველი ტიტული სხვა ტიტულების მოგების სურვილს გიათმაგებს. კარგია ისიც, რომ კონკურენტები მიხვდნენ, ეს "ბაიერნი" ძალიან ძლიერია. ახლა ჩვენი ისევ ყველას ეშინია. არადა, გასულ სეზონში ასე არ იყო.

**- ახალი გუნდისგან, საფეხბურთო თვალსაზრისით, რას უნდა ველოდოთ?**

- ფაქტი ის არის, რომ ახალწვეულებმა გუნდი ძალიან გააძლიერეს. მხოლოდ ზე რობერტომ და რიბერიმ იმდენად დიდი პოტენციალი მოიტანეს, რომ "ბაიერნი" შემადგენლობის მხრივ, არცერთ ევროპულ გრანდს აღარ ჩამოუვარდება. ახლა მთავარია, რომ გუნდი იდეალურად შეთამაშდეს და თეორია პრაქტიკაში ასახოს. და ეს თუ შევძელით, მაშინ ჩვენი დამარცხება წარმოუდგენლად რთული იქნება.

**- საკუთარი თავისგანაც მეტს ელით?**

- პირადად მე ცუდი სეზონი არ მქონია. თავად განსაჯეთ: ბუნდესლიგაში ყველა თამაში ჩავატარე, გერმანიის თასზე, გერმანიის ნაკრებსა და ჩემპიონთა ლიგაში კი, ჯამში 56 მატჩი დამიგროვდა. ამაზე უკეთესს რას უნდა ველოდო? სპორტული თვალსაზრისით კი, ყოველ ახალ სეზონში უფრო მეტს ველი ხოლმე. ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ და დაუშვებელია იმის თქმა, რომ ყველაფერი ვიცი და სწავლა აღარ მჭირდება. მართალია, "ბაიერნმა" ცუდი სეზონი ჩაატარა, მაგრამ პლუსი ის იყო, რომ როგორც მცველმა, ბევრი რამ ვისწავლე და პროგრესი განვიცადე.

**- ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეს "ბაიერნი" უბრალოდ, ვალდებულია, გერმანიის ჩემპიონი გახდეს?**

- "ბაიერნი" ყოველთვის ვალდებულია, ბუნდესლიგა მოიგოს და ამ სეზონში ხომ მით უმეტეს, რადგან გუნდი ძალიან გაძლიერდა. არ მინდა, რომ სხვა გუნდებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ "ვერცხლის სინი" მიუნხენში დაბრუნდება.

**- როგორ გგონიათ, ვინ იქნება "ბაიერნის" უმთავრესი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?**

- რამდენიმე ვარიანტია. ყველაზე მეტს, რა თქმა უნდა, "შალკესგან", "ვერდერისგან" და "შტუტგარტისგან" ველი. ისე, არა მგონია, რომ ამ სეზონში სენსაციები მოხდეს.

**- რაკი "ბაიერნში" რადიკალური ცვლილებები წავიდა, შეუძლებელია, არ გეფიქრათ, რომ ამ ცვლილებებს თქვენც შეეწირებოდით და მაგალითად, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებოდით, როგორშიც ლუკას პოდოლსკია...**

- არა, ასეთი რამ არც კი მიფიქრია. მე ვიცი, რაც შემიძლია და რაც მთავარია, ჩემს კონტრაქტს ვადა 2009 წლამდე აქვს.

**- როცა ვილი სანიოლი გამოჯანმრთელდება, თქვენ და მარსელ იანსენი ერთმანეთის კონკურენტები გახდებით. არ გეშინიათ, რომ სკამზე მოგიწევთ ჯდომა?**

- ძალიან მიხარია, რომ "ბაიერნს" თითქმის ყველა პოზიციაზე ორი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს - კონკურენცია ყველა გუნდში საჭიროა. ჩემთვის სულერთია, სად ვითამაშებ - მარცხნივ თუ მარჯვნივ. სადაც მწვრთნელი მათამაშებს, იქ ვიასპარეზებ. იანსენსა და ჩემს შორის დიდი კონკურენცია იქნება და სხვათა შორის, ვერც სანიოლი იქნება მშვიდად. საკმარისად თავდაჯერებული ვარ იმისთვის, რომ ვთქვა: თუ კარგ ფორმაში ვიქნები და თავს არ დავზოგავ, აუცილებლად ვითამაშებ. თუ სად ვითამაშებ, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს.

**- ლიგის თასზე მარჯვენა მცველის ფუნქციებს ასრულებდით. იქნებ ამ პოზიციაზე თამაში გირჩევნიათ?**

- ორივე ფლანგზე თამაში შემიძლია და თავს ორივეგან შესანიშნავად ვგრძნობ. "ბაიერნშიცა" და გერმანიის ნაკრებშიც არაერთხელ დავამტკიცე, რომ სადაც მთამაშებენ, ყველგან ბოლომდე ვიბრძვი - მთავარია, ვითამაშო.

**- ამ სეზონის შემდეგ ევროპის ჩემპიონატია...**

- ამიტომაც, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სეზონი იქნება. ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჯერ არ გაგვინაღდებია, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ასე არ მოხდება. შესარჩევ ციკლში ბუნდესგუნდი ყველაზე სტაბილურია და ალბათ ერთ-ერთი პირველები ვიქნებით მათ შორის, ვინც ავსტრია-შვეიცარიის საგზურს გაინაღდებს. ცხადია, მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო და ეს ტურნირი მოვიგო. ჩვენს გუნდს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. ახლა მთავარია, რომ ტრავმები არ მივიღო და საუკეთესო ფორმაში ვიყო. და კიდევ ერთი რამ: მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე იტალიელებს შევხვდეთ...

**გოტფრიდ ლენცი**

---

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა

# ჰერტას მხოლოდ სიმბოლო უყვარგა

## ნიურნბერგში კი, ჰანს მაიერი აღმოსავლელთა გუნდს აშენებს...




ბუნდესლიგაში ერთნახევარი **ჰიონესები** გვყავს. მთელი ჰიონესი მიუნხენში ზის, ნახევარი კი დედაქალაქში... და იმ დროს, როცა ული ძალიან წარმატებული მენეჯერია, დიტერს, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდის. მეორე ათასწლეულის დასრულების შემდეგ, "ჰერტას" ბოსი ვერცხლის სინსა და ჩემპიონთა ლიგაზე ლაპარაკობს. მე კი ვფიქრობ, რომ ბონი უფრო მალე დაიბრუნებს გერმანიის დედაქალაქის სტატუსს, ვიდრე ბერლინი "ვერცხლის სინს"...

მოდით, გადავხედოთ, თუ რომელ ადგილებზე გადიოდა "ჰერტა" ბოლო წლებში: მეოთხე, მეექვსე და ახლა მეათე! იმისთვის, რომ დედაქალაქურმა კლუბმა 2 წელიწადში მეორე ბუნდესლიგაში არ ამოყოს თავი, დიტერი ახალი ფეხბურთელების შეძენას შეუდგა. მაგრამ ფულის დახარჯვა მხოლოდ მას მერე გადაწყვიტა, როცა ახალმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** თქვა, კატასტროფული შემადგენლობა გვყავს და თუ გუნდს არ გამიძლიერებთ, ნურაფერს მომთხოვთო. არადა, რამდენს ეხვეწებოდა **ფალკო გიოტცი** ჰიონესს, მიყიდე ესა და ეს ფეხბურთელებიო...

როცა მწვრთნელი ხარ და შვეიცარიიდან გერმანიაში ჩემპიონის სახელით ჩამოდიხარ, ცხადია, ფიქრობ: *"ვაშა, უფლება მომეცა, ბუნდესლიგაში ვიმუშავო!"* მაგრამ თუ "ჰერტას" თავკაცად დაინიშნე, პირველივე ვარჯიშზე ასეთი ფიქრები გიპყრობს: *"მიშველეთ! შეიძლება, რომ აქედან წავიდე?"* თუკი ფავრმა დროზე იყნოსა ის, რაც "ჰერტაში" ხდება, ძალიან მალე გაიქცევა შვეიცარიის საელჩოში და სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვს.

ძალიან კი მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ეს "ჰერტა" ჩემთვის არაფერს წარმოადგენს და ერთადერთი შანსი იმისა, რომ ამ გუნდის თამაშმა სიამოვნება მომანიჭოს, ის არის, რომ ბერლინული კლუბის ძირითად შემადგენლობაში გუნდის მასკოტმა, **ჰერტინიომ** ითამაშოს. ამ გუნდს მეტი არაფერი უყვარგა!

ახლა **ხიმენესი** გაყიდეს - წარმოგიდგენიათ, საუკეთესო თავდამსხმელი მექსიკაში გაუშვეს! ასე რომ, წინ მხოლოდ აროგანტი **პანტელიჩი** ირბენს, რომელიც მხოლოდ პროვოკატორია და არამც და არამც, ფეხბურთელი. მაგრამ პანტელიჩზე უარესი იდიოტი, მცველი **შიმუნიჩია,** რომელმაც მხოლოდ ის იცის, თუ რა და როგორ დაუშავოს მეტოქეს - ბურთის ნაცვლად ფეხებს ემტერება. ამას დაუმატეთ ყასაბი **დარდაი** და აშკარაა, რომ "ჰერტას" ფეხბურთელებს ფეხბურთთან არაფერი ესაქმებათ.

და რაც მთავარია, ბავშვთა გუნდებშიც ასეთივე ხეები თამაშობენ - ბევრ ფულს ითხოვენ ან წასვლა უნდათ. მთელი გუნდი ასეთი სენითაა დაავადებული და როგორ გგონიათ, ვისი ბრალია ეს ყოველივე? აი, მაგალითად, "ტოტენჰემმა" **კევინ პრინს ბოატენგში** 7.4 მილიონი ევრო გადაიხადა - ინგლისელებმა ხომ ფულის ყადრი არ იციან. ამ თანხით დიტერ ჰიონესმა "ჰერტას" ინტერნატისთვის ახალი პედაგოგები დაიქირავა. ეჰ, დიტერ, უმჯობესია, შენს რთულად აღსაზრდელ ბავშვებს კარგი ბეიბისიტერები დაუქირავო. ანაც, თუ მართლა წარმატების მიღწევა გინდა, "ნიურნბერგიდან" ერთ მილიონად **ჰანს მაიერი** იყიდე და მას სრული ძალაუფლება უბოძე... "რკინის ჰანსმა" იცის, როგორ უნდა გააკეთოს კარგი გუნდი!

"ჰერტასგან" განსხვავებით, "ნიურნბერგი" უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. რაც მთავარია, ამ გუნდს ჰყავს მწვრთნელი, ნაღდი მწვრთნელი, რომელმაც საშუალოზე დაბალი დონის გუნდს გერმანიის თასი მოაგებინა და უეფას თასზე გაიყვანა! მაიერი ნიურნბერგში გდრ-ის გუნდის კეთებას შეუდგა. მოჰყავს და მოჰყავს ხალხი თავისი სამშობლოდან: ასისტენტი, სკაუტი, მოყვარულთა მწვრთნელი - ყველა აღმოსავლელია! და ფეხბურთელები? **კლუგე, შმიდტი, კლევერი, ენგელჰარდტი** - ისინი ხომ ახალი ბუნდესლანდებიდან არიან. ცოტაც, და 1. FCN ლიგის ერთადერთი აღმოსავლური კლუბი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში არ მდებარეობს.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის გახლავთ, რომ მაიერი სწორად იქცევა. ახლა **ხარისტეასი** დაიმატა, ცხადია, **ოტო რეჰაგელის** რჩევით. და სხვათა შორის, არ ვიცი, რატომ, მაგრამ "ნიურნბერგი" თავისი თამაშის სტილითა და საერთოდ ყველაფრით, ძალიან მაგონებს რეჰაგელის ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრებს. ოტომ ჰანსს უთხრა, ხარისტეასი წაიყვანე, გოლებს გაიტანს და თან ჩუმად იქნებაო. ამანაც დაუჯერა...

ასე რომ, ფრანკები თავდასხმაში ძალიან კარგად არიან დაკომპლექტებულები, საყრდენი ნახევარცველის, ანუ მტვერსასრუტის პოზიციაზე კი **გალაშეკი** ჰყავთ, რომელიც არავის ახარებს. ამ გუნდს მინიმუმ მე-8 ადგილს ვუწინასწარმეტყველებ. და ისიც ვიცი, რომ "ნიურნბერგი" "ჰერტას" მინიმუმ სამი ადგილით გაუსწრებს!

**მარიო ბასლერი**
ბილდი

ეს საინტერესოა

### ჰერტა ახალი სეზონის წინ

**ადგილები წინა სამ სეზონში:** 10, 6, 4.

**მწვრთნელი:** ლუსიენ ფავრი (49 წლის, კონტრაქტი 2010 წლამდე).

**მოვიდნენ:** ლუსიო (პალმეირასი, 1.75 მილ), დრობნი (ბოხუმი, უფასოდ), გენგი (მანჰაიმი, 100 000), ოკორონკვო (ესსენი, განათხოვრებული იყო), ბაილერი (ესსენი, განათხოვრებული იყო), პიუჩეკი (ლუბინი, განათხოვრებული იყო).

**წავიდნენ:** კევინ ბოატენგი (ტოტენჰემი, 7.4 მილ), ხიმენესი (ტოლუცა, 1.2 მილ), შორხი (რეალი, 1 მილ), ბაშთურქი (შტუტგარტი, უფასოდ), ნოიენდორფი (ინგოშტადტი, უფასოდ), კაირო (ქოვენთრი, უფასოდ), დეჟაგა (ვოლფსბურგი, უფასოდ), ელეგაარდი (რანდერს, უფასოდ), პელატცი (ვერდერი, უფასოდ), მიულერი (კარლ ცაისი, უფასოდ), ვან ბურიკი (კონტრაქტი დაუმთავრდა).

**მიზანი:** გაურკვეველია.

**პირველი ორი მატჩი:** აინტრახტი (სტუმრად), შტუტგარტი (შინ).




ეს საინტერესოა

### ნიურნბერგი ახალი სეზონის წინ

**ადგილები წინა სამ სეზონში:** 6, 8, 14.

**მწვრთნელი:** ჰანს მაიერი (64 წლის, კონტრაქტი 2009 წლამდე).

**მოვიდნენ:** ხარისტეასი (ფეიენოორდი, 2.5 მილ), ბლაჟეკი (სპარტა, 600 000), იაკობსენი (კოპენჰაგენი, უფასოდ), კლუგე (გლადბახი, უფასოდ), მიშიმოვიჩი (ბოხუმი, უფასოდ), შმიდტი (კარლ ცაისი, უფასოდ), ვიდოშიჩი (ქუინსლენდი/ავსტრალია, უფასოდ), ადლერი (მიუნხენ 1860, უფასოდ).

**წავიდნენ:** შეფერი (შტუტგარტი, 2.5 მილ), პაულუსი (აუე, 150 000), ბანოვიჩი (ფრაიბურგი, უფასოდ), გრეშკო (ლევერკუზენი, უფასოდ), შროთი (მიუნხენ 1860, უფასოდ), სიბონი (ჰერენვეენი, უფასოდ).

**მიზანი:** ცხრილის პირველი ნახევარი.

**პირველი ორი მატჩი:** კარლსრუე (შინ), ჰანზა (სტუმრად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ როისტონ დრენტესთან

# რეალში თამაში საამაყოა

## ახალგაზრდა ჰოლანდიელი სამეფო კლუბით აღფრთოვანებას ვერ მალავს...

**"რეალი" თავისას არ იშლის და როისტონ დრენტეს გადასაბირებლად იბრძვის. "ფეიენოორდი" ახალგაზრდა ნახევარმცველის გაყიდვას ეწინააღმდეგება. მადრიდელები მზად არიან, დრენტეს სანაცვლოდ შვიდი მილიონი ევრო გადაიხადონ და სათადარიგო გუნდის 20 წლის ნახევარმცველი კრიშტოფი დათმოს. როტერდამული კლუბის მესვეურებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. მანამდე კი "დიარიო ასმა" დრენტესთან ინტერვიუ მოამზადა. აღსანიშნავია, რომ "ფეიენოორდის" პრესსამსახური ამ საუბრის წინააღმდეგი იყო.**

**- ვარჯიშზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდით. როგორ მოახერხეთ სეზონის დაწყებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე სასურველი კონდიციაში ჩადგომა?**

- საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატიდან დავბრუნდი. ტურნირისთვის მთელი სერიოზულობით ვვარჯიშობდი, ამიტომ ფეიენოორდელ თანაგუნდელებთან შედარებით საუცხოოდ ვარ მომზადებული. ბუნებრივია, გაჩერებას არ ვაპირებ. კიდევ უნდა ვივარჯიშო. დარწმუნებული გახლავართ, ყველა თავდაუზოგავად იმუშავებს და მომავალ სეზონში "ფეიენოორდს" დიდი წარმატების მოპოვებაში დავეხმარებით.

**- "ფეიენოორდის" მომავალზე ანთებული თვალებით საუბრობთ. ესპანეთში კი ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ კარიერას "რეალში" გააგრძელებთ. "დიარიო ასმა" მეც სიახლეების გასაგებად გამომგზავნა. საინტერესოა, როგორ ხვდებით სამეფო კლუბის მართლაც სერიოზულ დაინტერესებას?**

- ვგონებ, უკეთესი იქნება, ამ თემაზე ჯერ არ ვისაუბრო. რაც არ უნდა იყოს, სიმართლესთან ერთად ბევრ ჭორსაც ვისმენთ. ამასთან, ვალდებული ვარ, ჩემს გუნდს პატივისცემით მოვეპყრო. "ფეიენოორდმა" ყველაფერი მომცა, რაც ახლა მაქვს. ასე რომ, მისი ინტერესების უგულებელყოფას არ ვაპირებ. კონტრაქტი სწორედ როტერდამელებთან მაქვს გაფორმებული. "რეალი" შესაძლოა, მართლაც დაინტერესებულია ჩემით, მაგრამ დღესდღეობით მასზე ვერ ვიფიქრებ.

**- თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ მე უფრო ის მაინტერესებს, რა იგრძენით, როცა შეიტყვეთ, რომ თანამშრომლობას პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გთავაზობთ? დამეთანხმებით, "რეალის" შეთავაზებას ნებისმიერი მოთამაშე ვერ მიიღებს...**

- მოთამაშეთა უმეტესობა ამაყია, როცა მათით ყველაზე დიდი ავტორიტეტისა და ტრადიციების მქონე კლუბები ინტერესდებიან. გაზეთებს ყოველდღე ვკითხულობ, მენეჯერსაც სისტემატურად ვესაუბრები. საამისო მიზეზი მარტივია, საქმე ჩემს მომავალს შეეხება, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ ნებისმიერი ფეხბურთელის უპირველესი ვალდებულება გულმოდგინედ ვარჯიშია. სეზონს მაქსიმალურად მომზადებული თუ ვერ შევხვდები, მხოლოდ და მხოლოდ მე დავზარალდები. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, სამეფო კლუბიც დამივიწყებს და "ფეიენოორდის" ძირითად შემადგენლობაშიც ვერ მოვხვდები.

**- მოდით, პირდაპირ მითხარით, გსურთ თუ არა, "რეალში" თამაში?**

- (იცინის) დამისახელეთ თუნდაც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც "რეალში" თამაში არ სურს. როცა მეკითხებიან, ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებ: "რეალი" უდიდესზე უდიდესი კლუბია. მისი ღირსების დაცვა ყველასთვის უაღრესად საამაყოა, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტულ საკითხებზე ვერ ვისაუბრებ. ფეხბურთის ისტორიას ვინც გაეცნობა, უმალ აღმოაჩენს, რომ სამეფო კლუბი ყველა დროის ყველაზე დიდი და ტიტულოვანი კოლექტივია. "რეალის" დღევანდელი შემადგენლობა ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ პლანეტაზე. მეტისმეტად მეამაყება, რომ ამდენად ძლევამოსილი იმპერიის ხელმძღვანელები მეპატიჟებიან.

**- პრიმერა დივიზიონზე რას ფიქრობთ? მოგწონთ ესპანური ლიგა?**

- ძალიან. აღფრთოვანების გამოსახატავად სიტყვები არ მეყოფა, მაგრამ მაინც შევეცდები მოსაზრება გაგიზიაროთ. პრიმერა დივიზიონში უამრავი ძლიერი გუნდი ასპარეზობს. ვცდილობ, ესპანეთის ჩემპიონატის თამაშებს თვალი ვადევნო. უნდა გითხრათ, რომ მოლოდინი არც ერთ შეხვედრიას გაუცრუებია. ყოველთვის ლამაზი და სანახაობრივი მატჩების მომსწრე ვხდებოდი. ყოველგვარი პირფერობის გარეშე ვიტყვი, რომ პრიმერა დივიზიონს ევროპის უძლიერეს საფეხბურთო ლიგად მივიჩნევ. შემთხვევითი არ არის, რომ საუკეთესო მოთამაშეები ესპანური კლუბების შეთავაზებას დაუფიქრებლად თანხმდებიან. პრიმერა დივიზიონში ძალების მოსინჯვა ბევრისთვის საოცნებოა.

**- გულშემატკივრები "ფეიენოორდიდან" თქვენი წასვლის შესაძლებლობას როგორ აღიქვამენ?**

- ვატყობ, რომ ფანები სამეფო კლუბის აქტიურობით ძალიან ღიზიანდებიან (იცინის). "ფეიენოორდის" გულშემატკივრებისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ისინი ყოველთვის დიდ სითბოსა და სიყვარულს მიძღვნიან. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც არ მსურს, "რეალზე" ღია ტექსტით ვისაუბრო ესეცაა. განა კორექტული იქნება, ჩემი ქომაგების სიყვარულს მერკანტილიზმით ვუპასუხო? მოდით, ცხოვრების შემდგომ განვითარებას დაველოდოთ. ყველაფერი თავისთავად მოხდება და გავიგებთ, როისტონ დრენტი სად გააგრძელებს კარიერას.

**- შევნიშნე, რომ ავტოგრაფებს გაუთავებლად არიგებთ. ნუთუ არ იღლებით ან არ გბეზრდებათ?**

- "ფეიენოორდის" პირველ ვარჯიშზე 13 ათასი გულშემატკივარი მოვიდა. ისინი ტაშით, ოვაციებითა და თბილი შეძახილებით მოგვესალმნენ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ როტერდამელი ფანები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მთელ მსოფლიოში. ვერ წარმომიდგენია, ადამიანს, რომელსაც უყვარხარ და პატივს გცემს, ავტოგრაფზე უარი როგორ უნდა უთხრა. ბავშვობაში მეც ვნადირობდი ფეხბურთელების ხელმოწერებზე და თუკი, რომელიმე მათგანი უარს მეუბნებოდა სახლში ატირებული ვბრუნდებოდი. არ მინდა, მეც ასეთი მონსტრი ვიყო (იცინის).

**- "რეალის" ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?**

- რობერტო კარლოსზე ჭკუას ვკარგავ, მაგრამ თუ არ ვცდები, ახლა ის თურქეთში თამაშობს. ზოგადად კი "რეალის" ყველა მოთამაშე მომწონს. როგორც გითხარით, მისი შემადგენლობა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

**- ვან ნისტელროისთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დამირეკა და რამდენიმე კომპლიმენტით დამაჯილდოვა (იცინის). ბედნიერი ვარ, რომ თანამედროვეობის უდიდეს ფეხბურთელს ჩემი თამაში მოეწონა. მან მითხრა, შენი სახით ჰოლანდიის ნაკრებს გენიალური მოთამაშე ეზრდებაო. ძალიან შემრცხვა, მაგრამ თავადვე დამამშვიდა და დამარწმუნა, რომ ყველაფერს გულწრფელად მეუბნებოდა. რუუდის უაღრესად მადლიერი ვარ.

**- საინტერესო ამბავი მომიყევით, მაგრამ რომ არ დაგიმალოთ, ის უფრო მაინტერესებს, "რეალზე" რა ისაუბრეთ?**

- სამეფო კლუბზე ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს...

**- ვერ დავიჯერებ...**

- (იცინის) თქვენი ნებაა, მაგრამ გეფიცებით, არ გატყუებთ. 20 წლის ვარ, ჩემზე ბავშვი აღარ ითქმის. ასე რომ, სიცრუეს არ ვიკადრებ.

**- ვან ნისტელროის ფაქტორი სამეფო კლუბში გადაბარგების სურვილს არ გიძლიერებთ?**

- მასთან ერთად თამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერება იქნება, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ეს არ არის ჩემზე დამოკიდებული. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, "ფეიენოორდს" პატივი უნდა ვცე, რადგან ამ კლუბმა ყველაფერი მომცა, რისი მოცემაც გუნდს ფეხბურთელისთვის შეუძლია.

**- "ფეიენოორდის" პრესსამსახურის უფროსი თქვენთან შეხვედრას კატეგორიულად მიკრძალავდა. მოტივი გასაგებია, გუნდს თქვენი გაშვება არ სურს, მაგრამ მაინტერესებს, მსგავსი აკრძალვა არ გაღიზიანებთ? ზრდასრული ადამიანი ხართ და უფლებამოსილი ბრძანდებით, საკუთარი ცხოვრება პირადი შეხედულებისამებრ წარმართოთ...**

- განა, სწორედ ასე არ მოვიქეცი?! ჩვენი პრესმდივანი ჩემთან ახლოსაც არ გიშვებდათ, მაგრამ თქვენთან მე მოვედი. კონკრეტულად აკრძალვის მართებულებას რაც შეეხება, არ მიკვირს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ფეხბურთელების უმრავლესობას კონტრაქტში უწერია, რომ კლუბის თანხმობის გარეშე ინტერვიუ არავის მისცენ. გამორიცხული არ არის, დღევანდელი შემთხვევის შემდეგ, "ფეიენოორდის" შეფებმა კორექტივები ჩემს ხელშეკრულებაშიც შეიტანონ (იცინის).

**- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. მომავალ შეხვედრამდე მადრიდში!**

- (იცინის) უკომენტაროდ...

ილია **ნიკოლაიშვილი**




როისტონ დრენტე




რაფაელ ვან დერ ვაარტი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვან დერ ვაარტი შუსტერის სიაშია!

## დიდი შანსია, რომ გაისად ჰოლანდიელი მადრიდში ვიხილოთ...

გახსოვთ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** განცხადება? ცოტა ხნის წინათ "ჰამბურგის" ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა თქვა, ჩემი ოცნების გუნდი მადრიდის "რეალია" და როცა HSV-ს დავტოვებ, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მინდა, რომ კარიერა მადრიდულ გრანდში გავაგრძელოო. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჰოლანდიელ ფლეიმეიქერს ოცნება აუსრულდება, რადგან "რეალის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** თქვა, ვან დერ ვაარტს ჩემთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში წამყვანი ადგილი უჭირავსო.

*"რაფაელი შესანიშნავი ფეხბურთელია და არ დაგიმალავთ, მინდა, რომ "რეალში" წავიყვანო,"* - განუცხადა შუსტერმა "კიკერს". ცხადია, ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ, "ჰამბურგის" გულშემატკივრები ძალიან დამწუხრდებოდნენ, მაგრამ მათ კარგად ესმით, რომ ვან დერ ვაარტს ჩრდილოგერმანულ კლუბში დიდხანს არავინ გააჩერებს. საქმე იქითკენ მიდის, რომ მომავალი სეზონი რაფაელისთვის "ჰამბურგში" უკანასკნელი იქნება და ამის შესახებ უკვე არაერთხელ ვწერდით. ისიც გაცნობეთ, რომ მისთვის ბრძოლას "იუვენტუსი" აპირებს და რომ ტურინელებს ჰოლანდიელი ნახევარმცველი **პაველ ნედვედის** შემცვლელად სურთ, მაგრამ რაკი ვან დერ ვაარტისთვის ბრძოლაში "რეალიც" ჩაება, ამთავითვე ცხადია, რომ "იუვეს" შანსი არა აქვს.

"ჰამბურგერ მორგენპოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კი, შუსტერმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიელი არა ახლა, არამედ ერთი წლის შემდეგ სურს. *"ისევე როგორც მე, "რეალის" ხელმძღვანელებმაც კარგად იციან, რაც შეუძლია ვან დერ ვაარტს. ფაქტია, რომ თუ მის შეძენას გადავწყვეტთ, მიზანს უპრობლემოდ მივაღწევთ,"* - ამბობს მადრიდელთა დამრიგებელი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვან დერ ვაარტს დედა ესპანელი ჰყავს, მისი ბებია და ბაბუა კი ანდალუსიაში ცხოვრობენ.

## დორტმუნდის ახალი რეკორდი

დორტმუნდში საფეხბურთო ბუმი მუდამ იყო, მაგრამ წელს ფანების მხრიდან განსაკუთრებით დიდი აქტიურობა შეიმჩნევა, რაც იმით გახლავთ გამოწვეული, რომ გუნდმა ბევრი კარგი ფეხბურთელი შეიძინა და თანაც, BVB-ს აქციების ფასიც დღითიდღე მატულობს. თავად განსაჯეთ, "ბორუსიამ" უკვე გაყიდა 50 549 სეზონური აბონემენტი, რაც ბუნდესლიგის აბსოლუტური რეკორდია - BVB-მ თავისივე რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც 2003/04 წლების სეზონში დაამყარა (50 415 აბონემენტი). ვესტფალიური კლუბის შეფებმა აბონემენტების გაყიდვა შეწყვიტეს, რადგან ქომაგთა იმ კატეგორიაზეც ზრუნავენ, რომელიც აბონემენტს არ ყიდულობს და ყველა მატჩისთვის ცალკეული ბილეთის შეძენას ანიჭებს უპირატესობას. საინტერესოა ის, რომ წინა სეზონში "ბორუსიამ" 44 ათასი აბონემენტი გაყიდა. სხვათა შორის, ამ მხრივ მეორე ადგილზე **ლევან კობიაშვილის** "შალკეა" - გელზენკირხენული კლუბის შეფებმა აბონემენტების გაყიდვა 43 190-ზე შეწყვიტეს...

## კუპე კარგა ხანს დაისვენებს

ლიონელებს ძირითადი მეკარე **გრეგორი კუპე** დაუშავდათ. ხუთშაბათის ვარჯიშზე საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯმა მუხლი იტკინა და როგორც გუშინ გაირკვა, 4 თვით ჩამოშორდა მინდორს. კუპემ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ტრავმის სირთულე მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდა. არადა, საფრანგეთის პირველობა ამ უქმეებზე იწყება. ჩემპიონი "ლიონი" პირველ ტურში "ოსერს" უმასპინძლებს, მაგრამ კუპეს გარეშე...

მანჩესტერ სიტი

# სვენი 40 მილიონს გადასცდება

მოგეხსენებათ, "მანჩესტერ სიტიმ" ბულგარელ თავდამსხმელ **ვალერი ბოჟინოვთან** ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ფიორენტინამ" 8.5 მილიონ ევრო მიიღო. **სვენ გორან ერიქსონის** სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. შაბათს, "ვალენსიასთან" ამხანაგურ მატჩამდე კიდევ ორი გარიგება უნდა შედგეს. ერიქსონი "რეალ სოსიედადის" ნახევარმცველ **ხავი გარიდოსა** და ზაგრების "დინამოს" მცველ **ვედრან კორლუკას** ელოდება. 21 წლის ხორვატის ტრანსფერი იმის მაუწყებელი იქნება, რომ "სიტი" იტალიელ **ჯორჯო კიელინის** აღარ შეიძენს. კორლუკა ინგლისელებს 4 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

ბოჟინოვის გამო მანჩესტერიდან აბარგება მოუწევს ბერძენ **გეორგიოს სამარასს**. თავის დროზე **სტიუარტ პირსმა** ბერძენი თავდამსხმელი 6 მილიონ გირვანქად შეიძინა. მან 51 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 8 გოლი შეაგდო. ეს ძალიან მოკრძალებული მაჩვენებელია. იმასაც გეტყვით, რომ ერთი კვირის წინათ ინგლისურმა კლუბმა მადრიდის "ატლეტიკოს" გარემარბ **მარტინ პეტროვს** გაუფორმა კონტრაქტი. "სიტის" ეს სიამოვნება თითქმის 10 მილიონი დოლარი დაუჯდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კლუბში რეჯინელი თავდამსხმელი **როლანდო ბიანკი**, ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟოვანი** და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ჟელსონ ფერნანდესიც** ჩაირიცხა. საზაფხულო ტრანსფერებში ერიქსონის მიერ დახარჯული თანხა 40 მილიონ გირვანქას გადააჭარბებს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ხელბურთი



ჯანო ბაგრატიონი



მერაბ მეტრეველი ნაკრებიდან წასვლას ფიქრობს

ინტერვიუ მერაბ მეტრეველთან

## ჯანო ბაგრატიონი პირველი კანდიდატია

**სამი დღის წინათ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა. რამდენად კანონზომიერი იყო დღევანდელ სიტუაციაში პრეზიდენტის გადადგომა? ვინ უნდა შეცვალოს მამუკა სხიერელი? ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი შევარჩიეთ.**

- სხიერელის გადადგომა მოულოდნელი არ ყოფილა. იყო გარკვეული პრობლემები და სანამ ხელბურთის ასოციაციაში განცხადებას შეიტანდა, მანამდე ვიცოდით, რომ მას წასვლის სურვილი ჰქონდა. გადაწყვიტა, რომ ქართული ხელბურთის შემდგომი განვითარებისთვის ასე აჯობებდა. მამუკა ჩემი მეგობარია, დიდ პატივს ვცემ და მჯერა, მომავალშიც ქართული ხელბურთის გვერდით იდგება - ისევე, როგორც პრეზიდენტობამდე იყო.

**- ეროვნულ ნაკრებს, ოქტომბერში თბილისში "ჩელენჯ ტროფიზე" აქვს სათამაშო...**

- სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა, ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დავტოვო. საქმე ისაა, რომ უკვე მეთორმეტე წელიწადი ხდება, რაც ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი ვარ, ამ თანამდებობასთან კი ნაკრების მწვრთნელობის შეთავსება მეკრძალება. მართალია, იანვარში, ეროვნულ ნაკრებს, გამონაკლისის სახით, ვუთავკაცე ექვს მატჩში, მაგრამ ასე ველარ გაგრძელდება, არჩევანი მაქვს გასაკეთებელი. საბოლოო გადაწყვეტილება ჩემთვის რთული მისაღებია. ერთი მხრივ, არ ვყოფილვარ ძალიან მაღალი დონის ხელბურთელი, უფრო მწვრთნელობით გავითქვი სახელი და გული მიმიწევს ამ პროფესიისკენ. მეორე მხრივ კი, ისიც მენანება, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციის 12-წლიან დელეგატობას უცებ დავუსვა წერტილი. ალბათ უფრო მწვრთნელობას შეველევი, მაგრამ ჯერჯერობით, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არაა.

ამ დღეებში, ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნულ ნაკრებზეც ვიმსჯელებთ. მე მაქვს საკუთარი შეხედულება იმის თაობაზე, თუ რა პირობები უნდა ჰქონდეთ ნაკრებს და მწვრთნელს. არა აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნები მწვრთნელი თუ სხვა - ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ის პრობლემები, რომლებიც გუნდს ქრონიკულად უშლიდა ხელს მაღალი შედეგების მიღწევაში.

**- ხელბურთის ასოციაციის მომავალ პრეზიდენტად ვინ გესახებათ?**

- ახალმა პრეზიდენტმა, საწყის ეტაპზე, აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს ორი უმთავრესი კრიტერიუმი. რა დასამალია და ქართული ხელბურთის ოჯახი შუაზეა გახლეჩილი. პრეზიდენტმა, პირველ რიგში, ეს ოჯახი უნდა გააერთიანოს. ამასთან, მან უნდა მოიზიდოს ის ელემენტარული ფინანსები, რომლითაც ჩვენი სახეობის აღორძინების დასაწყისითვის აუცილებელია. არ შეიძლება, ხელბურთის წინსვლაზე საუბრობდე და ელემენტარულად, ხელბურთის ასოციაციის ოფისის ქირის, ტელეფონის, ინტერნეტისა და ასეთ წვრილმან ხარჯებს ვერ იხდიდე, არ გყავდეს პრესატაშე, გიჭირდეს საშეჯიბრო კომიტეტის წევრების თუ მსაჯებისთვის მინიმალური ხელფასების გაცემა....

და, რაც უმთავრესია, ქართულ ხელბურთს აუცილებლად სჭირდება სოლიდური ინვესტიციები.

იდეალური იქნებოდა, რომ ახალ პრეზიდენტად აგვერჩია ჩვენივე წრის რომელიმე ბიზნესმენი, რომელსაც გული შესტკივა ხელბურთზე. მაგალითად, ყოფილი ხელბურთელები არიან მამუკა ხაზარაძე, თემურ უგულავა, დიმიტრი აბესაძე და გიორგი ჩრდილელი. შეიძლება, აქედან რომელიმეს შევთავაზოთ პრეზიდენტობა, მაგრამ ერთია ჩვენი და მეორე მათი სურვილი.

აგერ, ხელთ მაქვს ასევე ყოფილი ხელბურთელის, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტის ჯანო ბაგრატიონის განცხადება, რომელიც ხელბურთის ასოციაციაში მიმაქვს. ბატონი ჯანო პირველი ადამიანია, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. იმედია, მას სხვებიც მიბაძავენ და სახელბურთო სამყარო ღირსეულს აირჩევს.

ისე, პრეზიდენტობის მსურველთათვის, განაცხადების შემოტანის ვადა, ცოტა არ იყოს, შეზღუდული მეჩვენება. 12 აგვისტომდე არც ისე დიდი დროა...

**კობა ხატისაშვილი**

***P.S.* გუშინვე, ხელბურთის ასოციაციამ, დაგვიდასტურა, რომ მიიღო პრეზიდიუმის სახელზე გაგზავნილი ჯანო ბაგრატიონის წერილი. სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტი, ოფიციალურად პირველი დარეგისტრირდა ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატად. აღსანიშნავია, რომ ბატონმა ჯანომ, სამი წლის წინანდელ არჩევნებზეც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ მერე მამუკა სხიერელის სასარგებლოდ მოხსნა. ვნახოთ, კიდევ ვინ გამოთქვამს ქართული ხელბურთის პირველკაცობის სურვილს 12 აგვისტომდე...**

ჩოგბურთი TBILISI CITY HALL CUP

## ისევ ლადოს იმედად

...კივიმეღოვნეგლით, მაგრამ **გიორგი ჭანტურიასა** და **გიორგი ხრიკაძეს** მეოთხედფინალში გაღწევა არ ეწერათ: პირველმა ფრანგ **კლემან მორელთან** დათმო შეხვედრა ორ სეტში - 1:6, 1:6; მეორემ კი, ხორვატ **ივან სეროვიჩთან** დაყარა ფარ-ხმალი - 1:6, 3:6. კიდევ კარგი ლადო ჩიხლაძემ ივაჟკაცა და მეოთხედფინალში გააღწია, მაგრამ მოგება არცთუ იოლად გამოუვიდა, რაც ოდნავი შეშფოთების საბაბს იძლევა: პირველ სეტში მხოლოდ ტაი-ბრეიკზე აჯობა მოლდოველ **რადუ ალბოტს** - 7:6 (3); მართალია მეორეში არავითარი შანსი არ მისცა და 6:1 დაანგრია, მაგრამ თავიდანვე სათანადო განწყობის გარეშე თამაშს მომდევნო წრეში ნაკლებად თუ აპატიებენ - რთულია საწყისი ჩამორჩენის აღმოფხვრა, როცა მეტოქედ საკმაოდ კვალიფიცური ჩოგბურთელი გყავს...

მეოთხედფინალში ლადო ჩიხლაძის მეტოქეა მეშვიდედ განთესილი ფრანგი **შარლ როშე**. მათი შეხვედრა ცენტრალურ კორტზე შედგება და დილის 11 საათზე დაიწყება. რჩეულ რვეულში თითქმის ყველა უძლიერესი მეჩოგნე შეიკრიბა, თუმცა მეორედ განთესილმა რუსმა **მიხაილ ელგინმა** კვლავ ვერ შეძლო რენომეს დამტკიცება - განუთესავ ირლანდიელთან **პიტერ კლასკისთან** ორ სეტში უიმედოდ დამარცხდა - 2:6, 1:6. ვერაფერს დავამტკიცებთ, მაგრამ ელგინი ალბათ უხასიათოდ, შეიძლება ითქვას, უექეიფოდ არის და ამიტომაც მარცხდება, თორემ მისი კვლაიფიკაცია აშკარად მეტის სურვილს ბადებს...

ელგინმა წყვილთა შორის უფრო შეძლო ფრთების გაშლა და ბელარუს **ალექსეი ბესონოვთან** ერთად ნახევარფინალში გააღწია; მეოთხედფინალი **გიორგი ჭანტურიასა** და **ლაზარე კუხალაშვილის** ტანდემი დაამარცხა - 6:4, 6:2.

წყვილთა შორის ქართველი ჩოგბურთელი აღარ დარჩა, ერთეულებში კი ლადო ჩიხლაძე მეორე თბილისური ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს. ღმერთმა ქნას, შეაძლებინოს.

**ზვიად შათირიშვილი**

## წყვილში იგებს

რიმინის საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (134) წყვილთა თანრიგში აგრძელებს ბრძოლას, სადაც შვეიცარიელ **ემანუელე გალიარდისთან** (133) დუეტში ასპარეზობს. მაკა და ემანუელე ტურნირის ორგანიზატორებმა მე-3 ნომრად განთესეს, მერვედფინალში მათ ფრანგულ-რუსული დუეტი დაამარცხეს - ამომავალი ვარსკვლავის **ალიზ კორნეს** (107) და **მარინა შამაიკოს** დუეტს (462) სამ სეტში მოუგეს - 6:7 (3), 6:2, 6:1. მეოთხედფინალში ჩახნაშვილსა და გალიარდის უნგრელ **კირა ნადისთან** (137) და მასპინძელ **ვალენტინა სასისთან** (323) უწევთ თამაში, რომელთაც მერვედფინალური სტადია უბრძოლველად გაიარეს (მეტოქეები არ გამოცხადნენ). შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგის პირველ ეტაპზე 24 წლის ჩახნაშვილი მოულოდნელად დამარცხდა ტუნისელ **სელიმა სფართან** (176).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრენბურთი მსოფლიო ტური

## პირველი მატჩი წააგეს

ავსტრიულ კლაგენფურტში მიმდინარე დიდი სლემის გათამაშების მორიგ ეტაპზე **გეორ-გია** ჯგუფურ ტურნირში ჩაერთო. პირველი შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა არგენტინელებთან **მარტინ კონდესთან** და **მარიანო ბარკეტისთან** გამართეს და სამხრეთამერიკელებთან უშელავათო ბრძოლა გადახდათ. პირველ სეტში მათ მეტოქის დამარცხება 23:21 შეძლეს. მეორე სეტში ბრძოლა კიდევ უფრო უშელავათო გახდა. ამჯერად ფორტუნამ არგენტინელებს გადახედა და უჩვეულოდ გაწელილი სეტი 30:28 მოიგეს. გადამწყვეტ, მესამე სეტში არგენტინელები უფრო ყურადღებით გაისარჯნენ და გეორ-გია 15:11 დაამარცხეს.

მარცხის შემდეგ გეორ-გიას მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. N ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჩინელებმა **ვუმ** და **ხუმ** ლატვიელები **პლავინისი** და **სამოილოვსი** დაამარცხეს - 2:0 (21:11, 21:14). ჯგუფური ტურნირის დარჩენილი ორი ტური დღეს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

## ორი მორიგი ტურნირი

ამ უქმეებზე, ჩეხურ ჟიჩინში იმართება ახალგაზრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენი ნაკრები სრული გუნდით იასპარეზებს. ახალგაზრდები მსოფლიო პირველობისთვის ემზადებიან, გუნდის შემადგენლობა კი მწვრთნელმა **ბორის ფირცხელიანმა** საქართველოს ჩემპიონატის მიხედვით უკვე შეარჩია. ახლაც ჩეხეთში სწორედ ესენი მიჰყავს სასტარტო შეჯიბრებაზე: **ამირან პაპინაშვილი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66), **ზვიად ბაზანდარაშვილი** (73), **ნიკოლოზ კუცია** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **კონსტანტინე მუკვანი** (100) და **ლევან მუქერია** (+100). ამასთან, საკუთარი სახსრებით მიდიან **ოთარ ტვილდიანი** (81) და **გოდერძი მოსიაშვილი** (+100).

ძიუდოისტთა მეორე ჯგუფი, რომელშიც უფრო ეროვნული ნაკრების კანდიდატები შედიან, 6 აგვისტოს, შორეულ ტაილანდში გაემგზავრება მსოფლიო უნივერსიადაზე საჭიდაოდ. იქ გუნდს **ბიძინა მოხევიშვილი** გაწვრთნის, შემადგენლობა ასეთია: **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **მინდია ხომიზური** (66), **ბექა ბაიდაური** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **იოსებ მსხალაძე** (90), **ლევან რაზმაძე** (100) **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ტურნირი 13-17 აგვისტოს იმართება და ბოლო დღე გუნდურ პირველობას დაეთმობა.

სპორტის აკადემია

## მოთხოვნებიც უცვლელია და სიტუაციაც

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ის ნაწილი, ზაფხულის ცხელ დღეებს თბილისიდან რომ არ გარიდებია, ოპოზიციურ პოლიტიკოსებს, კარგა ხანს, ახლოს არ იკარებდნენ და საკუთარი ინტერესების დაცვას დამოუკიდებლად ცდილობდნენ. ბოლოს მათი გზები მაინც შეერთდა. რა გამოვიდა აქედან? ჯერ არაფერი, რა გამოვა საბოლოოდ? ამ ეტაპზე ამბიციები ორივე მხარემ დაიკმაყოფილა.

გუშინ, სპორტის აკადემიასთან თითქმის უკლებლივ გამოცხადდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები და მათი თანამოაზრეები. ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, თითქოს სტუმრები სჭარბობდნენ კიდეც აკადემიელებს.

მოთხოვნა აკადემიასთან დაკავშირებით უცვლელია - შეუნარჩუნდეს ამ უმაღლეს სასწავლებელს ტრადიციული სტატუსი და ნუ იქნება იგი ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რომელიღაც ფაკულტეტთან არსებული ცენტრი - "სპორტის აკადემია". ამას სრულ გაუგებრობად მიიჩნევს აკადემიის შენარჩუნების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც კვლავ აგრძელებს სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის სასამართლოში სიმართლის ძიებას.

გუშინვე გაირკვა, თუ რა ბედი ეწია საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ ხელმოწერებს. შეკრებაზე გამოცხადდა, რომ რეაგირებისთვის ეს დოკუმენტი პრეზიდენტის კანცელარიიდან ოპერატიულად გადაუგზავნიათ მთავრობაში, მთავრობას - კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, ამ სამინისტროს - სპორტის დეპარტამენტში... ანუ, სულ რაღაც რამდენიმე მეტრში, საიდანაც გაიგზავნა (აკადემია და დეპარტამენტი გვერდიგვერდ მდებარეობენ).

შემდეგ აკადემიელები და სტუმრები ერთად შეუერთდნენ პარლამენტის წინ სხვა პრობლემებთან დაკავშირებით შეკრებილ აქციის მონაწილეებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ჯავახიშვილი კრამლინგის შემდეგ

20-დან 30 ივლისის ჩათვლით კანადაში, მონრეალში დიდი საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. ორგანიზატორებმა ქალთა ტურნირში 8 ქალბატონი შეარჩიეს და წრიული სისტემით გააჯიბრეს ერთმანეთს. ტურნირის კატეგორია არ იყო უმაღლესი, მაგრამ არც საშუალო ეთქმოდა; ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ 8 რჩეულს შორის ორი ქართველი მოჭადრაკე ირიცხებოდა: **ლელა ჯავახიშვილი** და **ქეთევან არახამია-გრანტი**.

ტურნირის შემადგენლობა ასეთი იყო: **პია კრამლინგი** (შვედ. 2533); **ირინა კრუში** (აშშ. 2479); **ლელა ჯავახიშვილი** (საქ. 2460); **ქეთევან არახამია-გრანტი** (საქ. 2418); **ივეტა რაილიხირაძევიჩი** (პოლ. 2406); **იოვანკა ჰოუსკა** (ინგ. 2401); **ქრისტინა-ადელა ფოიშორი** (რუმ. 2372); **მირიამ რუა** (კან. 1925).

არახამია დიდი ხანია, სტაბილურად თამაშობს, თუმცა მსოფლიო ელიტაში დამკვიდრება ვერ შეძლო, - ამ კუთხით ბევრად უკეთესი შესაძლებლობები აქვს ჯავახიშვილს და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა - საკმაოდ წარმომადგენლობით- ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ციფრებში ეს ასე გამოიყურება: 7 პარტიიდან 2 მოგება და ხუთი ყაიმი; საერთო ჯამში 4.5 ქულა და მეორე ადგილი. პირველობა არავის დაუთმო შვედმა **პია კრამლინგმა** - მან 5 ქულას მოუყარა თავი. შვედმა პირველობა ბოლო ტურში არახამიას დამარცხებით მოიპოვა და ფორტუნას მადლობა უნდა შესწიროს, რადგანაც სხვა შემთხვევაში ან არახამია ხდებოდა გამარჯვებული, ანაც - ჯავახიშვილი. რაც არ უნდა იყოს, კრამლინგს უდიდესი გამოცდილება და ოსტატობა უმაგრებს ზურგს და მისი გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ არის...

ჩვენ კიდევ ერთხელ შევაქოთ ქართველები - კერძოდ, ლელა ჯავახიშვილი, რომელმაც კვლავ შეგვახსენა, რომ ახალი თაობის ქართველ მოჭადრაკეთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე საიმედოა. ქების ღირსია ქეთევან არახამიაც, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ძველი კლასი და ყოველთვის შეუძლია, მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს...

საბოლოო ცხრილი ასეთია: 1. პია კრამლინგი - 5 ქულა; 2. ლელა ჯავახიშვილი - 4,5; 3. იოვანკა ჰოუსკა - 4,5; 4. ქეთევან არახამია-გრანტი - 4; 5. ივეტა რაილიხი - 4; 6. ირინა კრუში - 3; 7. ქრისტინა-ადელა ფოიშირი - 3; 8. მირიამ რუა - 0.

**ზვიად შათირიშვილი**



ლელა ჯავახიშვილი



ქეთევან არახამია-გრანტი

კრივი

ინტერვიუ კობა ფხაკაძესთან




კობა ფხაკაძე საქართველოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ

# ლას ვეგასში ლიცენზიის მოგებას ვაპირებ

**წლევანდელი** წელიწადი ქართველი მოკრივეებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ოქტომბერში, ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. ქართველებმა მსოფლიო ფორუმისთვის მზადება ადრევე დაიწყეს. ყველა ტურნირი რომელშიც მათ მიიღეს მონაწილეობა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპებად განიხილებოდა. ნაკრების ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ლას-ვეგასში 2-3 ლიცენზიას მაინც მოიპოვებენ.

მოკრივეებიც იმედიანად არიან განწყობილნი. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წყალობით მათ ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი იმისთვის, რომ ჩემპიონატს მაქსიმალურ მზადყოფნაში შეხვდნენ. ბუნებრივია, მწვრთნელები შეგირდებისგან მაქსიმუმს მოითხოვენ.

ერთ-ერთი, რომელზეც ნაკრების ხელმძღვანელობა ამყარებს იმედს, 57 კილოგრამში მოასპარეზე ქუთაისელი მოკრივე კობა ფხაკაძეა. მან წლეულს სამ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და დიდი გამოცდილება დააგროვა. კობა ფხაკაძეს მიაჩნია, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობის უნარი შესწევს და ლას-ვეგასში ლიცენზიის მოპოვების იმედიც აქვს.

**-წლეულს რამდენიმე ტურნირში მიიღე მონაწილეობა, როგორ შეაფასებდი ამ შეჯიბრებებში შენს გამოსვლას?**

- წლეულს მესამედ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. გავიმარჯვე ბაქოს ა კლასის ტურნირზე. III ადგილი დავიკავე უკრაინაში, ჩეხეთში წარმატებით ვერ ვიჩხუბე, მაგრამ ეს ტურნირიც სასარგებლო იყო. გამოცდილება მივიღე, რაც მომავალ პაექრობებში დამეხმარება. ასეთი ძლიერი შეჯიბრებები საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის ძალიან კარგი საშუალებაა. ჩემი ასპარეზობით უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ გაცილებით მეტი შემიძლია. ამ ტურნირებზე ის მოკრივეები იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებთან ალბათ ლას-ვეგასშიც მექნება საქმე. განსაკუთრებით ყაზახმა მოკრივემ, აზიის ჩემპიონმა დამამახსოვრა თავი. ნამდვილად ძლიერი სპორტსმენი იყო.

**-მთავარი ტურნირი წინ გაქვთ. ოქტომბერში ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. როგორ ემზადებით ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის?**

- თავდაპირველად ბორჯომში შევიკრიბებით და ფიზმომზადების კურსს გავივლით. აგვისტოს შუა რიცხვებში კი სავარაუდოდ ბაქოში გავემგზავრებით და იქ ტურნირს გავმართავთ. ნაკრებში საბრძოლო განწყობაა. კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობა და ოლიმპიური კომიტეტი ყოველნაირად გვერდით გვიდგას. ყველა პირობას გვიქმნიან, რომ წარმატებებს მივაღწიოთ. ლას-ვეგასში 10 დღით ადრე ჩავალთ, რაც აკლიმატიზაციის გასასვლელად საკმარისია. ადრე ასეთ ფუფუნებას მოკლებული ვიყავით. ზოგჯერ ტურნირის დღეს ჩავდიოდით და პირდაპირ რინგზე გავდიოდით. ეს შედეგებზეც აისახებოდა ხოლმე. ახლა პირობებზე ველარ დავიჩივლებთ. მოკრივეებიც გაორმაგებული ენერგიით ვემზადებით მსოფლიო ჩემპიონატისთვის და იმედი გვაქვს, რომ რამდენიმე ლიცენზიას ამერიკაშივე მოვიპოვებთ.

**- პირად შანსებზე რას იტყვი?**

- ყველა სპორტსმენის ოცნებაა, ოლიმპიადაში მიიღოს მონაწილეობა. ამ მიზნის მისაღწევად ბევრს ვშრომობ და იმედი მაქვს მსოფლიო ჩემპიონატზე მინიმუმ მეოთხედფინალში გასვლას მოვახერხებ, რაც ავტომატურად ლიცენზიის მოპოვებას ნიშნავს. საკუთარი თავის იმედი მაქვს, რა თქმა უნდა, ისიც მნიშვნელოვანია წილისყრაში როგორ გამიმართლებს... მე თავს არ დავზოგავ და ვეცდები, ჩემი ქვეყანა ვასახელო.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## თვის მოვლენები

ივლისი

**1. ჩოგბურთი:** მაკა ჩახნაშვილმა გაიმარჯვა პადოვის (იტალია) საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

**2. ფეხბურთი:** სანდრო იაშვილმა (დინამო) შვეიცარიულ "თუნთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**2. ოლიმპიზმი:** ტრაბზონში (თურქეთი) დაიწყო შავი ზღვის ქვეყნების პირველი თამაშები

**6. ჩოგბურთი:** ოქსანა კალაშნიკოვამ უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირში მერვედფინალში გაალწია.

**7. ოლიმპიზმი:** საქართველოს დელეგაციამ შავი ზღვის ქვეყნების თამაშებზე 34 მედალი მოიპოვა (6 ოქრო: გიორგი დავითაია, პაატა ბაკურაძე, ზურაბ დათუნაშვილი, ვასილ იმერლიშვილი - ანტიკური ჭიდაობა; ზურაბ იაკობაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა; გიორგი ბედოშვილი - მძლეოსნობა) და გუნდური მეექვსე ადგილი დაიკავა.

**7–8. რაგბი:** ევროპის ჩემპიონატზე შვიდკაცაში საქართველოს ნაკრებმა მეშვიდე ადგილზე გავიდა.

**7–8. ძიუდო:** ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა თითო ოქროს (**ზებედა რეხვიაშვილი**), ვერცხლის (**ზვიად კაპანაძე**) და 3 ბრინჯაოს (**ოთარ კაიდარაშვილი, გიორგი მემარნიშვილი, ვაჟა დაბრუნდაშვილი**) მედალი მოიპოვა.

**10. კალათბურთი:** **მანუჩარ მარკოიშვილი** ლიუბლიანის "ოლიმპიიდან" უკრაინულ "ბკ კიევში" გადავიდა.

**12. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **კენ შილდსი** გახდა. მან **გორდონ ჰერბერტი** შეცვალა.

**12. მშვილდოსნობა:** კიდევ ორმა ქართველმა მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია: **ხათუნა ნარიმანიძემ** და **ქრისტინე ესებუამ**. მათ ამ წარმატებას მსოფლიო ჩემპიონატზე მიაღწიეს. ნარიმანიძემ პირად პირველობაზე მე-5 ადგილი დაიკავა.

**13. ფეხბურთი.** კვიპროსში ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს საქართველოს ანკრების ყოფილი ფეხბურთელი **თემურ ქეცბაია**.

**14–15. ჭიდაობა:** გაიმართა **გივი კარტოზიასა** და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის ტურნირები. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ლუკა კურტანიძემ** კარიერის დასრულება გადაიფიქრა და პეკინის ოლიმპიადამდე სპორტში დარჩა.

**15. კალათბურთი:** 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-12 ადგილი დაიკავა და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

**17. ფეხბურთი:** ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის "ოლიმპი" ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანას" 0:0 დაუზავდა.

**18. ფეხბურთი:** **შოთა არველაძემ** 1+1 სისტემით კონტრაქტი გააფორმა ესპანურ "ლევანტესთან".

**22. სუმო:** კოკაიმ ნაგოიას ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა

**22–27. ოლიმპიზმი:** ბელგრადში, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს დელეგაციამ სამივე სინჯის 2-2 მედალი მოიპოვა. ოქრო - **ზებედა რეხვიაშვილი**, ძიუდო; **ეკატერინე გორგოძე-გიორგი ხმიადაშვილი**, ჩოგბურთი; ვერცხლი - **ზვიად კაპანაძე**, ჩოგბურთი; **ეკატერინე გორგოძე**; ბრინჯაო - **ოთარ კაიდარაშვილი, გიორგი მერმანიშვილი**, ძიუდო.

**27. ჩოგბურთი:** **ოქსანა კალაშნიკოვამ** ევროპის 18-წლამდეთა ჩემპიონატში ფინალში გაალწია, წყვილთა თანრიგში კი ევროპის ჩემპიონი გახდა.

**24–26. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა სოფიაში, საერთაშორისო ტურნირზე (65:97 ბულგარეთთან, 86:82 მაკედონიასთან, 88:68 დანიასთან. **ზაზა ფაჩულია** საშუალოდ 32.3 ქულას აგროვებდა).

**23–28. ჭიდაობა:** ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ნადავლი ასეთია: ანტიკურ ჭიდაობაში - ოქრო (**ვასილ იმერლიშვილი**) და სამი ვერცხლი (**მინდია ნულუკიძე, პაატა ბაკურიძე, თორნიკე ნაჭყებია**); თავისუფალ ჭიდაობაში - ოქრო (თორნიკე ხიდეშელი), 2 ვერცხლი (**დავით მარსაგიშვილი, დავით ხუციშვილი**) და 2 ბრინჯაო (**გიორგი ჩიტაშვილი, ვლადიმერ ხინჩაგაშვილი**).

**23–29. პლაჟბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად იასპარეზა ორმა ქართულმა წყვილმა. **გეორ-გიამ** ჯგუფური ბარიერი ვერ დაძლია, ქალებში - **საქა-რთველო** მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

**29. ფეხბურთი**: რუსთავის "ოლიმპი" საპასუხო მატჩში ყაზახეთში 0:3 დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდა.

**29. კალათბურთი:** 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-12 ადგილი დაიკავა და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

**30. კალათბურთი:** **ვლადიმერ ბოისა** რუსულ "სპარტაკ-პრიმორიეში" გადავიდა.

**31. რაგბი:** მიხეილ მესხის სტადიონზე საფრანგეთში, მსოფლიო თასზე მიმავალი საქართველოს ეროვნული ნაკრები საზეიმოდ გააცილეს.

NBA. გარნეტის ტრანსფერის ექო

# ლებრონი ინერციით



ჰამილტონი და ბილაპსი ისევ ერთად იქნებიან

**კევინ გარნეტის** "ბოსტონში" გადასვლამ, ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი (16-გზის ჩემპიონი) დამდეგი რეგულარულის ერთ-ერთ ფავორიტად (აღმოსავლეთში მაინც) აქცია. ვარსკვლავებს - გარნეტს, პოლ პირსსა და რეი ალენს შეთამაშებისთვის გარკვეული დრო დასჭირდებათ, მაგრამ "ბოსტონი" მაინც ყველაზე გაუმჯობესებულ გუნდად მიგვაჩნია. "ნიქსმა" ზაკ რენდოლფი აიყვანა, სხვებმაც იაქტიურეს და სადღეისოდ, აღმოსავლეთში ასეთი მდგომარეობაა.

## კლივლენდი

"კლივლენდი" პირველი ოთხეულის გუნდებს ბევრი არაფრით სჯობია, მაგრამ პატივი ვცეთ მოქმედი ფინალისტის სტატუსს და იმასაც, რომ "კავალიერსს" **ლებრონ ჯეიმსი** ჰყავს. "კავალიერსმა" სასწრაფოდ უნდა შეინარჩუნოს თავისუფალი აგენტები **ანდერსონ ვარეჟაო** და **საშა პავლოვიჩი** (ამ უკანასკნელს თუ გაიფორმებს და მერე გაცვლის, ხომ სულ მშვენიერი იქნება), ხოლო ლებრონმა კი, გუნდის ლიდერის სტატუსით მეტი უნდა მოითხოვოს პასიური **ლარი ჰიუზისგან**, რომელიც ხან დამტვრეულია, ხანაც უმოტივაციო.

## დეტროიტი

2004 წლის ჩემპიონი ბოლო ორი წელიწადია, ფლეი ოფში ვერ ბრწყინავს. არადა, გუნდს თითქმის იგივე შემადგენლობა ჰყავს, რაც წინა წლებში. წლეულს "დეტროიტმა" დიდი თანხა დაახარჯა თავისუფალ აგენტსა და თავის საუკეთესო მოთამაშეს, გამთამაშებელ **ჩონსი ბილაპსს**, რომელიც უკანა ხაზში კვლავ **რიპ ჰამილტონთან** შეწყვილდება, ხოლო ფარქვეშეთში კი **რაშიდ უოლასი** დადგება. გადასაწყვეტია **კრის უებერის** საკითხიც, სეზონის განაცხადში კი მთავარ მწვრთნელ **ფლიპ სონდერსს** ახალბედები, **ამირ ჯონსონი, არონ აფლალო** და **როდნი სტაკი** ეყოლება.

## ბოსტონი

უკომენტაროდ.

## ჩიკაგო

მთავარი მწვრთნელი **სკოტ სქაილზი ლუოლ დენგსა** და **ბენ გორდონს** არაფრის დიდებით არ უშვებს და ამ დუეტის შენარჩუნებისთვის უარი თვით გარნეტზეც კი თქვა. მატჩიდან მატჩამდე უმატებდნენ **ტაბო სეფოლოშა** და **ტაირუს ტომასი**, თუ **კირკ ჰაინრიხიც** ჯანმრთელი იქნება, ილინოისელები სავარაუდოდ, სუპერფინალისთვისაც იბრძოლებენ. არ დაგავიწყდეთ, რომ "ბულზს" ცენტრად **ბენ უოლასი** ჰყავს. თანაც, გუნდმა ცოტა ხნის წინათ, გამოცდილი მძიმე ფორვარდი **ჯო სმიტიც** დაიმატა.

## ტორონტო

შარშან, **სემ მიტჩელმა** კანადელებს მთელი რეგულარული მაღალ დონეზე ჩაატარებინა და "რეპტორზის" მთავარი მწვრთნელი სეზონის ბოლოს საუკეთესო თავკაცად აღიარეს. **ანდრეა ბარნიანიმ, ხორხე გარბახოსამ** და **ენტონი პარკერმა კრის ბოშს** ამოსუნთქვის საშუალება კი მისცეს, მაგრამ დაიწყო ფლეი ოფი და გუნდმა მოულოდნელად წააგო "ნეტსთან". ეს გამოუცდელობას დაბრალდა, წლეულს კი "ტირანოზავრისგან" გაცილებით მეტს ელიან და ამის რეალური საფუძველიც არსებობს. "რეპტორზი" მინიმუმ 47 მატჩს ისევ მოიგებს და შეიძლება 50 გამარჯვებასაც შესწვდეს.

## მაიამი

2006 წელს გაჩემპიონებული გუნდი, შემდეგ თვალსა და **შაკს** შორის დაიმსხვრა, მარტო **დუეინ უეიდი** კი ჩემპიონობის შენარჩუნებას ნამდვილად არ ეყო. ბოლო ინფორმაციით, ფლორიდელებს ყველა ძირითადი მოთამაშე ჯანზე ჰყავთ. თითქმის მთლიანად გაუცდა ბოლო რეგულარული **პატ რაილის** გუნდის მთავარ ფლეიმეიქერს, **ჯეისონ უილიამსს**, რომელსაც წლეულს, **სმაშ პარკერის** სახით საკმაოდ კარგი გამაღიზიანებელი და რეალური კონკურენტი ეყოლება. საუბარი მიდის **რონ არტესტის** დამატებაზეც და თუ რაილიმ გადარეული რონი აიყვანა, მაშინ ეს გუნდი ავტომატურად კონფერენციის მთავარი ფავორიტი გახდება.

## ვაშინგტონი

"ბოსტონის" მერე, აღმოსავლეთში საუკეთესო შემტევი ტრიო სწორედ დედაქალაქურ გუნდს ჰყავს. **გილბერტ არენასს, ანტუან ჯეიმისონსა** და **კეირონ ბატლერს** თავისუფლად ძალუძთ ერთ მატჩში საშუალოდ 20 ქულის გაკეთება და ისიც გავიხსენოთ, რომ "უიზარდს" შარშანდელ ფლეი ოფში არც არენასი ჰყოლია და არც ბატლერი. დედაქალაქელები მომავალ ფინალისტს, "კლივლენდ კავალიერსს" კი ებრძოდნენ, მაგრამ მაინც ოთხივე შეხვედრა დათმეს და სეზონი უაზროდ ჩაამთავრეს. გუნდის მთავარი პრობლემა წლეულსაც ფარქვეშეთში ნორმალური მოთამაშის არყოლაა.

## ნიუ ჯერსი

სანამ ამ გუნდს **ჯეისონ კიდი** ჰყავს, "ნეტსი" ფლეი ოფს არ მოსცილდება, თუმცა თავმოყვარე კიდს მეტი სურს, რადგან რამდენიმე წლის წინ, იმავე "ნიუ ჯერსისთან" ერთად ის ორჯერ სუპერფინალშიც გავიდა. კიდი, **ვინს კარტერი** და **რიჩარდ ჯეფერსონი** კვლავ ერთად და ჯანზე არიან და "ნეტსმა" აგრეთვე გამოჯანმრთელებული **ნენად კრსტიჩითაც** უნდა იხეიროს. თუმცა საჩემპიონოდ და თუნდაც, კონფერენციის ფინალში გასასვლელად, **ლოურენს ფრენკს** სხვებთან შედარებით სუსტი შემადგენლობა ჰყავს. ფლეი ოფი? გავლენ, მერე კი თუნდაც ერთი ეტაპის გავლა გაჭირდება.

## ორლანდო

ჯერჯერობით, თავისუფალი აგენტებიდან ყველაზე ძლიერი, სწორედ "მეჯიქმა" დაიმატა. მზიან შტატში კარიერას **რაშარდ ლიუისი** გააგრძელებს, რომელმაც ფორვარდ-ცენტრ **დუაიტ ჰოვარდთან** ერთად ძალიან კარგი ტანდემი უნდა შექმნას. ამასთან ერთად, ფლორიდელებს ძალიან დააკლდებათ "ფინიქსში" გადასული **გრანტ ჰილი**. საინტერესოა, ვინ გახდება ამ ახალგაზრდა გუნდის ლიდერი?

## ნიუ იორკი

"ნიქსს" აღარ ჰყავს **ჩეინინგ ფრაი**, თუმცა მისი და **სტივენ ფრენსისის** წასვლით გამოწვეული სიცარიელე, **აიზია ტომასმა** ზაკ რენდოლფით ამოავსო. ასე რომ, ნიუიორკელებს კონფერენციაში ერთ-ერთი საუკეთესო სასტარტო ხუთეული ჰყავთ - **სტეფონ მარბერი, ჯამალ კროუფორდი, ედი კარი, კვენტინ რიჩარდსონი** და რენდოლფი. თუ გუნდი გასვლაზე ოდნავ ყურადღებით ითამაშებს, მაშინ ფლეი ოფის პირველი წრე უკვე რეალური იქნება.

## მილუოკი

ძალიან კარგი შემადგენლობა, უამრავი ნიჭიერი და "მშიერი" ახალგაზრდა და მთლიანობაში ვიღებთ გუნდს, რომელიც... არანაირად არ ემორჩილება მწვრთნელებს. ეს პრობლემა რომ არა, "ხარირმები" ეგრევე საფლეიოფო ფავორიტებში შევიდოდნენ, მაგრამ თუ მწვრთნელებს თავიანთი იდეების გატარების საშუალებას არ აძლევენ, კარგად შეინახონ ეგ შემადგენლობაც და პერსპექტივაც. არადა, გადახედეთ "ბაქსის" შემადგენლობას - **მაიკლ რედი, ჩარლი ვილიანოვა, ენდრიუ ბოგუტი, ბობი სიმონსი, მორის უილიამსი** და **დესმონდ მეისონი**.

## შარლოტი

**მაიკლ ჯორდანს** მხოლოდ და მხოლოდ ფლეი ოფს მოთხოვენ, თუმცა ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება. **ჯეისონ რიჩარდსონის** დამატებით, გუნდი ულაპარაკოდ გაძლიერდა, ხოლო მის გარდა კი "ბობქეთსში" **ჯერალდ უოლასი, ემეკა ოკაფორი** და **რეიმონდ ფელტონი** არიან. და მაინც, ეს გუნდი ჯერ არ არის მზად საფლეიოფოდ, უფრო სწორად, იქ გასასვლელად საკმარისი რესურსი არ გააჩნია. "შარლოტი" უსუსტესია დაცვაში და თუ ფელტონი მთავარი გამთამაშებელია, მაშინ იქნებ, "მისი უჰაერესობის" გუნდს "ატლანტამაც" გადაასწროს.

## ატლანტა

**ზაზა ფაჩულიას** გუნდი კარგი მოთამაშეებით კი არის დაკომპლექტებული, მაგრამ საფლეიოფოდ ეს საკმარისი არ არის. გუნდს არ ჰყავს ნორმალური რეზერვი. ჯორჯიელებმა დრაფტზე **ელ ჰორფორდი** და **ეისი ლო** კი აიყვანეს, მაგრამ ეს მაქსიმუმ, 35 მატჩის მოსაგებად თუ იქნება საკმარისი. მთელი რეგულარული ამჯერადაც ზაზას, **ჯო ჯონსონის, ჯოშ სმიტის, მერვინ უილიამსისა** და ალბათ, ჰორფორდის კისერზე გადაივლის.

## ინდიანა

"პეისერზის" მიზანი "ძველი ბიჭებისა" და გუნდში სიტუაციის ამრევი მოთამაშეების (**რონ არტესტი, სტივენ ჯექსონი**) თავიდან მოცილება იყო, რაც გუნდმა გააკეთა კიდეც, თუმცა მთავარი მაინც ისაა, სურთ თუ არა გუნდის ბოსებს ძვირადღირებული და ტრავმებით გაწამებული **ჯერმეინ ონილის** დატოვება. სავარაუდოდ, "ინდიანა" "მინესოტის" გეზს აიღებს და ვარსკვლავ ფორვარდს ვინმეს გაუცვლის, თავად კი შემადგენლობას **მაიკ დანლივი-უმცროსის, ტროი მერფისა** და **დენი გრეინჯერის** გარშემო ააშენებს.

## ფილადელფია

შარშანდელი სეზონი გუნდისთვის ისტორიული იყო. "სიქსერზმა" **ალენ აივერსონი** "დენვერში" გაცვალა, თუმცა რეგულარულის მეორე ნახევარი გუნდმა მის გარეშეც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, რაც, პირველ რიგში, ორი **ანდრეს - იგუოდალასა** და **მილერის** დამსახურებაა. ფლეი ოფი ცოტა ადრეა, მაგრამ კიდევ წელიწადის მერე, კონფერენციის რვა საუკეთესოში მოხვედრა პროგრამა-მინიმუმიც კი შეიძლება გახდეს.

**ზურაბ თალაკვაძე**

# TV სპორტი

### 3 აგვისტო. პარასკევი

### НТВ-პლუსი ფეხბურთი

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:20 საერთაშორისო ტურნირი. ლაციო-არსენალი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
14:05 საერთაშორისო ტურნირი. აიაქსი-ატლეტიკო. ამსტერდამი. ჰოლანდია.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:50 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი 1/4 ფინალი. ლიონი-პორტუ საპასუხო მატჩი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 სასტვენი.
20:45 საერთაშორისო ტურნირი. შანხაი-ლივერპული. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
22:40 საერთაშორისო ტურნირი. ფეიენოორდი-პორტუ. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კოტბუსი.
08:40 კრივი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:10 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
10:50 მინი-მოედანი.
11:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ინდიანაპოლისი. აშშ.
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:35 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.
15:20 ფიტნესი.
15:50 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.
16:55 ფეხბურთი. Barca TV.
17:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 აფროსნობა. ამერიკის თასი.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
00:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:15 კრივი. რინგ-საიდი.
01:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
03:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ინდიანაპოლისი. აშშ.
05:10 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.

### EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
11:00 ცურვა. საერთაშორისო ტურნირი. პარიზი. საფრანგეთი.
12:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. კუბა-დომინიკის რესპუბლიკა. იაპონია.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა (LIVE).
14:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I ეტაპის კენჭისყრა (LIVE).
15:30 ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. ფინალი. ჰამბურგი-დაჩა. საპასუხო მატჩი.
16:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია (LIVE).
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ავსტრია (LIVE).
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ჩინეთი. პოლონეთი (LIVE).
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
01:00 პრო-რესტლინგი.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
03:00 მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

09:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. კუბა-დომინიკის რესპუბლიკა. იაპონია (LIVE).
11:00 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ყაზახეთი. იაპონია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ავსტრია (LIVE).
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-შვეიცარია. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტუგალია-რუსეთი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
19:45 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იტალია-პოლონეთი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-აშშ. პოლონეთი.
00:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. სან დიეგო. აშშ.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
01:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ჩინეთი. პოლონეთი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.
02:45 პრო-რესტლინგი.
03:30 რალი. ახალი სერია. მადეირა. პორტუგალია.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლაციო-არსენალი | 1:2 |
| აიაქსი-ატლეტიკო | 2:0 |

#### შვედეთის თასი

| | |
|---|---|
| მიალბიუ-გიოტებორგი | 1:1. დ.დ. 1:2 |

### კალათბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| სლოვენია-ანგოლა | 78:51 |

### ჩოგბურთი

#### ATP. სოპოტი

| | |
|---|---|
| **მონტანიესი**-საბალეტა | 4:6, 6:3, 7:5 |
| დავიდენკო-**ვასალო არგელო** | 6:2, 3:6, 1:6 |
| ვლიეგენი-**კუბეკი** | 2:6, 6:3, 4:6 |
| **რობრედო**-დარცისი | 1:6, 6:0, 7:5 |

#### WTA. სან დიეგო

| | |
|---|---|
| **დემენტიევა**-ბარტოლი | 6:4, 7:5 |
| **პეტროვა**-სრებოტნიკი | 6:3, 7:6 |
| საფინა-**მირზა** | 1:6, 2:6 |
| **ჩაკვეტაძე**-სუგიამა | 6:4, 6:4 |
| იანკოვიჩი-**კირილენკო** | 2:6, 6:3, 5:7 |

#### WTA. სტოკჰოლმი

| | |
|---|---|
| **კოენ ალორო**-ფედოსოვა | 5:7, 6:4, 6:2 |
| მედინა გარიგესი-**ციბულკოვა** | 3:6, 7:6, 3:6 |
| ვესნინა-**ვოზნიაკი** | 5:7, 1:6 |

ფორმულა 1

## სილვერსტოუნს ეშველება

"სილვერსტოუნის" ტრასის მფლობელმა - ბრიტანეთის ავტომრბოლთა კლუბმა ავტოდრომის მოდერნიზაციის გენერალური გეგმა დაამტკიცა.

უახლოესი 10 წლის განმავლობაში, ამ არენის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზრდება. მოდერნიზაცია შეეხება აგრეთვე ტრიბუნებს, პადოკებს, სამეცნიერო ცენტრსა და საკონფერენციო დარბაზს - იტყობინება სააგენტო "როიტერი".

*"როცა ასეთი საუკეთესო პირობები გვექნება, ჩვენ კვლავაც შევძლებთ ისეთი ნიჭიერი პილოტების აღმოჩენას, როგორიც ლუის ჰემილტონია"*, - აცხადებს ბრიტანეთის ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტი **დეიმონ ჰილი**.

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

#### Legg Mason Tennis Classic

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

#### I წრე

**ტომი ჰაასი (გერ, 2)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედ)-არნო კლემანი (საფ, 4) 1:6, 6:3, 6:4; **მიხაელ ბერერი (გერ)**-მარდი ფიში (აშშ, 6) 7:6 (4), 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 7)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:3, 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 8) 3:6, 7:5, 7:6 (6); **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 10) 3:6, 7:6 (10), 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ, 11)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:2, 6:3; **სინსენტ სპეიდი (აშშ, 12)**-უესლი მუდი (ს. აფრ) 7:6 (5), 7:6 (3); **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 15)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:3, 4:6, 6:4; **მაიკლ რასელი (აშშ, 16)**-უესლი უაიტჰაუსი (ს. აფრ) 7:6 (1), 4:1 უაიტჰაუსის ტრავმა.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

როდიკი (1)-შტეპანეკი (15); ლი (5)-ბენეტო (11); ტ. იოჰანსონი-კაპდევილე; კარლოვიჩი (7)-სპეიდი (12); მონფილსი (9)-ბერერი; საფინი (3)-ჰაასე; ისნერი-ოდესნიკი; ჰაასი (2)-რასელი (16).

#### Orange Prokom Open

სოპოტი (პოლონეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 425 250 ევრო

#### 1/8 ფინალი

**ფლორიან მაიერი (გერ, 7)**-ოლივიე პატიენსი (საფ) 6:1, 6:1; **იგორ ანდრეევი (რუს)**-მიხალ პრჟისიეჟნი (პოლ) 7:5, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ)**-ბორის პაშანსკი (სერ) 6:4, 4:6, 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:4, 6:4.

### WTA

#### Acura Classic

სან დიეგო (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

#### II წრე

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:1, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)**-მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოკ, 6)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:3, 1:6, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 8)**-კამილ პინი (საფ) 6:1, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:1, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 10)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:2, 6:4; **პატი შნიდერი (შვეიც, 11)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 6:0; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 13)**-ენ კრემერი (ლუქ) 6:1, 4:6, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 14) 6:3, 6:1; **აი სუგიამა (იაპ)**-სიბილ ბამერი (საფ, 15) 6:2, 7:6 (3); **მარია კირილენკო (რუს)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 16) 6:4, 7:6 (3); **სანია მირზა (ინდ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 7:6 (1), 6:3.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

შარაპოვა (1)-გოლოვინი (13); საფინა (8)-მირზა; ჩაკვეტაძე (3)-სუგიამა; ჰანტუხოვა (6)-ვ. უილიამსი (10); ჰინგისი (7)-შნიდერი (11); პეტროვა (4)-სრებოტნიკი; ბარტოლი (5)-დემენტიევა (9); იანკოვიჩი (2)-კირილენკო.

#### Nordea Nordic Light Open

სტოკჰოლმი (შვედეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)**-მარტა დომაჩოვსკა (პოლ) 6:0, 6:3; **ვერა დუშევინა (რუს, 8)**-ემა ლაინე (ფინ) 6:3, 6:3; **ჟულია გორგესი (გერ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 0:6, 6:2, 7:6 (4); **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:4, 6:4; **ემილი ლუა (საფ, 3)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 4:6, 7:6 (1), 7:6 (7).

კალათბურთი

## პარკერი ამერიკაში გამოიძახეს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა **ტონი პარკერმა** საწვრთნელ შეკრებაზე ფეხის ტრავმა მიიღო და დროებით შეწყვიტა ვარჯიში. თავისი ერთ-ერთი ლიდერის ტრავმით შეშფოთებულმა "სან ანტონიო სპურსმა", ფრანგი კალათბურთელი სამედიცინო შემოწმების გასავლელად სასწრაფოდ ამერიკაში იხმო.

ფრანგული პრესის ინფორმაციით, 25 წლის პარკერის დაზიანება სერიოზული არ არის და ის მალე დაუბრუნდება ნაკრების რიგებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. სავარაუდოდ, ტონი მწყობრში ერთ კვირაში ჩადგება.

შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონატი 3-16 სექტემბერს ესპანეთში გაიმართება.

## ჰაპოელმა დეტროიტელი შეიძინა

იერუსალიმის "ჰაპოელმა" კონტრაქტი გააფორმა "დეტროიტ პისტონზის" მცველთან, **უილ ბლეილოკთან**.

გასულ სეზონში, ამ კალათბურთელმა რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა, ამ ივლისს კი, საზაფხულო ბანაკში "დენვერ ნაგეტსის" რიგებში ცდიდა ძალებს და იქ, საშუალოდ მატჩში 10.5 ქულასა და 3.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

## ბოსტონმა ორი მცველი დაიმატა

**კევინ გარნეტის** გადაბირების შემდეგ, "ბოსტონ სელტიქსმა" კიდევ ორი გარიგება დადო. NBA-ის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მცველები - **ედი ჰაუსი** და **ჯეკი მანუელი** გაიფორმა.

ჰაუსს ასოციაციაში 7 სეზონი აქვს გატარებული. ის "მაიამის", "კლიპერსის", "ნიუ ორლეანის", "მილუოკის", "საკრამენტოს", "ფინიქსისა" და "ნიუ ჯერსის" რიგებში თამაშობდა. შარშან, 185 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელმა 56 მატჩი ჩაატარა "ნეტსის" რიგებში და საშუალოდ 8.4 ქულას აგროვებდა.

რაც შეეხება მანუელს, მან მთელი გასული სეზონი "ორლანდოს" ფარმკლუბში გაატარა და ამ გუნდის რიგებში 9.5 ქულასა და 3.8 მოხსნას ითვლიდა.

## იუტაში შევსებაა

"იუტა ჯაზმა" ჟურნალისტებს ახალი კალათბურთელი წარუდგინა. ეს გახლავთ მცველი **რონი პრაისი**. ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის ეს კალათბურთელი კარგად არის ცნობილი, ვინაიდან პრაისმა სამი სეზონი "იუტა ველი სტეიტის" სტუდენტურ გუნდში ითამაშა.

სტუდენტური ლიგის თავისთვის ბოლო სეზონში (2004-05), პრაისი საშუალოდ მატჩში 24.3 ქულას აგროვებდა. რონი 2005 წლის დრაფტში არ აურჩევიათ, თუმცა მან "საკრამენტოსთან" გააფორმა კონტრაქტი, სადაც ორი ულიმღამო სეზონი გაატარა - აქ მისი მონაგარი 3.3 ქულას შეადგენდა.

ფიგურული სრიალი

## კოენი შოუმენი გახდა

ტურინის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **საშა კოენი**, მომავალ სეზონს ამერიკის სახელგანთქმულ ყინულის შოუში - Stars on Ice-ში გაატარებს.

ამერიკელმა მოციგურავემ შოუს ორგანიზატორებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და Stars on Ice-ის ყველა, ორმოცივე წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას. პირველი გამოსვლა 24 ნოემბერს არის დაგეგმილი, ტურნე კი, 12 აპრილს დასრულდება.

კოენი ადრეც თანამშრომლობდა Stars on Ice-თან, მაგრამ ეს ეპიზოდური გამოსვლები იყო. სხვათა შორის, ამ შოუში მონაწილეობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოციგურავეს მოყვარულის სტატუსი ჩამოერთმევა. ასე რომ, კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, კოენს თავისუფლად შეუძლია ვარჯიშები განაახლოს და ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადოს.

ჰოკეი

## ჰალი დალასში დაბრუნდა

ლეგენდარული ამერიკელი ჰოკეისტი **ბრეტ ჰალი**, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ ტელეკომენტატორად მუშაობდა, მშობლიური კლუბის, "დალას სტარზის" კონსულტანტად დაინიშნა.

*"ყოველთვის მინდოდა ჩემს გუნდს, ახლა უკვე ჩინოვნიკის რანგში, სტენლის თასის მოპოვებაში დავხმარებოდი. იმედი მაქვს, რომ "დალასის" ჰოკეის ოპერაციების განყოფილებას ახალ დონეზე გავიყვან"*, - განაცხადა 43 წლის ჰალმა, რომელმაც 1999 წელს, "სტარზთან" ერთად სტენლის თასი მოიგო.

## რეინჯერსმა ჰოსა შეინარჩუნა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" საქმე საარბიტრაჟო სასამართლოზე არ გაიტანა და ფორვარდ **მარსელ ჰოსას** ერთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის მიხედვითაც სლოვაკი 780 000 დოლარს მიიღებს.

ჰოსას შარშანდელი ხელფასი 600 000 დოლარი იყო. იგი შემტევ სამეულში გუნდის კაპიტან, ჩეხ **იარომირ იაგრთან** ერთად იდგა, თუმცა რეგულარული მხოლოდ 10 გატანილი შაიბითა და 8 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. აღსანიშნავია ისიც, რომ სეზონის უკანასკნელ 15 შეხვედრაში მის ანგარიშზე 13 (8+5) ქულა იყო. 25 წლის მარსელმა ფლეი ოფში 4 (2+2) ქულა შესძინა გუნდს, სულ კი კარიერაში, 187 მატჩში "რეინჯერსისა" და "მონრეალის" შემადგენლობაში 53 (30+23) ქულა აქვს დაგროვილი.

## პარიზე ნიუ ჯერსიში დარჩა

ფორვარდმა **ზაკ პარიზემ** "ნიუ ჯერსიში" დარჩენა ამჯობინა და ახალი კონტრაქტით, შემდგომი 4 წლის განმავლობაში 12.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

23 წლის პარიზე შარშანდელ რეგულარულში თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო და **პატრიკ ელიაშის** მერე, 31 გატანილი შაიბითა და ამდენივე ზუსტი პასით ისტრუზერფორდელებს შორის მეორე ადგილზე გავიდა. ზაკმა განსაკუთრებით კარგად ფლეი ოფის შეხვედრები ჩაატარა, სადაც მის ანგარიშზე 10 (7+3) ქულა იყო.

*"ნიუ ჯერსი" დიდი ტრადიციების მქონე გუნდია, სადაც თავს შესანიშნავად ვგრძნობ. გაცვლისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ, "დევილზში" დავრჩი"*, - ამბობს პარიზე, რომლის აყვანაც "ტორონტოს", "ჩიკაგოსა" და "ედმონტონს" სურდათ.

ცურვა

## ფელპსი 34-გზის ჩემპიონია

ამ დღეებში ინდიანაპოლისში ამერიკის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც სპორტის ამ სახეობის ლიდერი, **მაიკლ ფელპსიც** იღებს მონაწილეობას.

ფენომენად აღიარებულმა ამერიკელმა უკვე მოასწრო ორი ოქროს მოგება. მან ჯერ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში აჯობა ყველას. თანაც, ფელპსმა ისტორიაში მესამე დრო აჩვენა - 1.54,65, რაც 0.33-ით უარესია ამერიკელი **რაიან ლოხტეს** მსოფლიო რეკორდზე. მოგვიანებით კი, ფელპსმა მიჩიგანის ნაკრებთან ერთად 4X400 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში იმარჯვა, რითაც მაიკლი აშშ-ის 34-გზის ჩემპიონი გახდა.



ფორმულა 1

# შპიონაჟის საგა გრძელდება



რონ დენისი

მოსლის განცხადების შემდეგ, "მაკლარენმა" თავისი მეტოქე იტალიური გუნდი ფია-ზე პრესის საშუალებით ზეწოლაში დაადანაშაულა. ამასთან, ინგლისური საჯინიბოს შეფმა **რონ დენისმა** განაცხადა, რომ საქმის სააპელაციო განხილვა მისი გუნდისთვის სასურველი შედეგით დასრულდება, რადგან მოსარჩელეს რეალური არგუმენტები და მტკიცებულებანი არ გააჩნია.

უფრო მეტიც, დენისმა გუშინ საპასუხო ბრალდება წამოაყენა "ფერარის" მიმართ. კონკრეტულად კი, მან განაცხადა, რომ იტალიურმა გუნდმა ავსტრალიის დიდ პრიზზე ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით მომზადებული ბოლიდით იასპარეზა. დენისის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც "ფერარიმ" თავისი რიგებიდან **ნაიჯელ სტეპნი** დაითხოვა, ამ უკანასკნელმა "მაკლარენის" აწ უკვე ყოფილ მთავარ ინჟინერ **მაიკ კოფლენს** წერილი მისწერა, რომელშიც აღწერილი იყო იტალიური გუნდის ბოლიდის ის დეტალები, რომლებიც ფორმულა ერთის ტექნიკურ რეგლამენტს არ შეესაბამება. ყველაფერი ეს კი მარტში მოხდა. წერილში ლაპარაკი იყო უკანა ფრთის სეპარატორსა და ეგრეთ წოდებული დრეკად ძირზე.

*"მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ უკანა ფრთის სეპარატორი რეგლამენტს არ არღვევდა, რასაც ვერ ვიტყვით დრეკად ძირზე. ჩვენ საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ "ფერარიმ" ავსტრალიაში სწორედ ასეთძირიანი ბოლიდებით იასპარეზა. მაშინ ჩვენ პროტესტისგან თავი შევიკავეთ იმის გამო, რომ ამ სკანდალით სპორტის ინტერესი დაგვეცვა. შეგახსენებთ, რომ ის რბოლა "ფერარიმ" მოიგო"*, - განაცხადა რონ დენისმა.

ამ ფაქტის შემდეგ, "მაკლარენმა" კოფლენს მითითება მისცა, რომ მას შეეწყვიტა სტეპნისთან ურთიერთობა, მაგრამ ამის საპირისპიროდ, ორი გუნდის ინჟინრები ერთმანეთს ბარსელონაში შეხვდნენ. იმ შეხვედრაზე, სტეპნიმ თავის კოლეგას "ფერარის" ბოლიდების შესახებ ტექნიკური ინფორმაცია ორი კომპაქტ დისკით მიაწოდა. კოფლენის თქმით, მას ეს ინფორმაცია პირადი სარგებლობისთვის სჭირდებოდა.

*"იტალიურ პრესაში გავრცელებულ დაუსაბუთებელ ბრალდებათა გამო, "მაკლარენის" რეპუტაცია შეილახა. ამიტომ, ჩვენ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებას ვაპირებთ. სწორედ ამიტომ წამოვწიეთ ავსტრალიაში "ფერარის" მიერ გამოყენებული დრეკადი ფრთის საკითხი. რაც შეეხება სანქციებს, ეს ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ბოლო წლებში და საშინელება იქნება, თუ მას ამ სკანდალით გავაფუჭებთ"*, - დასძენს დენისი.

"მაკლარენის" სატიტულო პერსპექტივები კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც იტალიური პრესის ზეწოლით, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (ფია-მ) შპიონაჟის საქმე სააპელაციო სასამართლოს "გადააბარა".

შეგახსენებთ, რომ საქმის პირველ განხილვაზე, ფია-ს ტექნიკურმა კომისიამ დაადასტურა, რომ "მაკლარენი" უკანონოდ მოპოვებულ ტექნიკურ ინფორმაციას ფლობდა, თუმცა ინგლისური გუნდის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენების დამტკიცება არ მოხერხდა, რისი წყალობითაც, "მაკლარენი" მკაცრ სასჯელს გადაურჩა. თუ "მაკლარენს" აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება დაუმტკიცდება, მაშინ არაა გამორიცხული, რომ გუნდი მსოფლიო ჩემპიონატიდან მოიხსნას. უფრო მეტიც, შესაძლოა, ის არც მომავალი სეზონის ჩემპიონატზე დაუშვან.

იტალიის საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ **ლუიჯი მაკალუზოს** თქმით, საქმის პირველი განხილვის დროს, "ფერარის" არ მიეცა ამ საქმესთან დაკავშირებით, მის ხელთ არსებული მასალების წარმოდგენის საშუალება. ამასთან, იტალიურ გუნდს არც აპელირების უფლება მისცეს. თუმცა, იტალიელი კოლეგების მიერ მიღებული წერილის შემდეგ, მოსლიმ თავად გადაწყვიტა საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



დოპინგსკანდალი

# ასტანამ ვინო გაუშვა

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახურ-შვეიცარიულ გუნდ "ასტანას" ესპანეთის ტურის (ვუელტას) ორგანიზატორებმა ველომარათონზე ასპარეზობის უფლება მისცეს, გუნდის ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა, რომ თავისი ფუნქციონირება აგვისტოს ბოლომდე შეაჩეროს.

ამ პერიოდს გუნდის ხელმძღვანელობა გამოიყენებს შიდა პრობლემების მოსაგვარებლად. შესაძლოა, შეიცვალოს მენეჯმენტი და ველომრბოლთა შემადგენლობა. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა - გუნდი დაატოვებინეს ტურ დე ფრანსის დროს დოპინგზე ჩავარდნილ ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვს**, ვისაც მხარს უჭერს ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაცია. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ გუნდის სპონსორობაზე უარი თქვას ყაზახმა სპონსორმა. ამ შემთხვევაში, გუნდს სახელიც გამოეცვლება და შესაბამისად, ახალი სპონსორის ძებნაც მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ვინოკუროვი ტურიდან მას შემდეგ გამოაძევეს, რაც დროზე ინდივიდუალური რბოლის (პირველი) შემდეგ, მის სინჯში ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოჩნდა. განმეორებითმა ტესტმა პირველის შედეგი დაადასტურა. ამასთან, ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული კიდევ ერთ ტესტზე, რომელიც ყაზახი ველომრბოლისგან პირველი ტესტიდან ორი დღის შემდეგ აიღეს.

ყოველივეს მიუხედავად, ვუელტას ორგანიზატორმა, კომპანია "უნიპუბლიკმა" ყაზახური გუნდი მაინც მიიწვია თავის რბოლაში საასპარეზოდ. ვუელტას ორგანიზატორთა ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდიც**.

*"რამდენადაც "ასტანა" პრო ტურის გუნდია, მას ვუელტაში მონაწილეობის უფლება ავტომატურად ენიჭება. მით უმეტეს, რომ რბოლაზე მისი მიწვევის სურვილი უკვე გამოთქვა "უნიპუბლიკმა". "ასტანაში" ახლა დიდ რეორგანიზაციას აპირებენ. ვფიქრობ, ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ გუნდის ხელმძღვანელობას აღარ სურს დოპინგსკანდალში გარევა"*, - ამბობს მაკქუეიდი.




ასტანამ ვინოკუროვი დაითხოვა

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა